# კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი. XI.

№ 4 კვირა, 19 იანვარი 1903 წლისა. № 4

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სასპიტალის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: «კვალის განცხადება.—შავი-ქვის მრეწ. მეხუთე კრება გ. მარმალაძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—მცირე შენიშვნა დ. თ—ძესი.—აქეთური-იქითური ი. მარჯანიძისა.—რუსეთი.—საზღვარ-გარეთ.—ლექსი ბ. ახოსპირელისა.—ჩაიზე კოდრა პატრიასი.—ჭიათურას მრეწველთა კრება ქუთაისში გარეშე მაყურებელისა.—სახალხო თეატრი ი. ც—ძისა.—წერილი რედაქციის მიმართ ანიკო ჯავახიშვილისა.—განცხადებანი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი"

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ".

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბესანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

---

### შავი ქვის მრეწველთა მე-V კრება.

7 ამ თვეს ქუთაისში გაიხსნა შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრება. მრეწველთა საბჭო კიდევ ერთხელ წარსდგა ამრჩეველთა წინაშე მსჯავრის მოსასმენათ და ხელახალ ასარჩევათ. კრებამ კიდევ ერთხელ უნდა განიხილოს არჩეულთა მოქმედება და მას შეუფარდოს საბოლოვო განჩინება. რა გააკეთა საბჭომ? რას გააკეთებს კრება? აი რა კითხვებისაკენ არის დღეს მიქცეული საზოგადოების ყურადღება. ამიტომ ჩვენც ამ ერთ წერილს ორ წერილათ გავყოფთ. პირველი იქნება საბჭოს მოღვაწეობა, მეორე—კრების მოღვაწეობა.

#### I. საბჭოს მოღვაწეობა.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო, სანამ კრებას წარუდგებოდა, უკვე წარუდგა საზოგადოებას. მის შესახებ ალაპარაკდა ადგილობრივი პრესა და დაუწყო ღირსება-ნაკლულევანების მხილება. „ნოვოე ობოზრენიე" და „ცნობის ფურცელი" თავიდანვე გამოვიდნენ საბჭოს ნაფიც ვექილებათ და წინდაწინ გამოაცხადეს: ჩვენ მის მოღვაწეობაში მხოლოთ ღირსებას ვხედავთ და მუდამ ამასვე დავინახავთო. ხოლო „ივერიამ" და ჩვენმა გაზეთმა კრიტიკულათ შეხედეს და ვექილთა განაჩენი არ ირწმუნეს. მაგრამ „ივერიას" ჩქარა შერცხვა თავის მიუდგომლობის და ათ იანვარს „განოვოეობოზრენიავდა". მან გადმობეჭდა ბ. ომის წერილის შინაარსი და თან ასეთი წინასიტყვაობა წაუწინამძღვრა: „წერილის ავტორი განათლებული და ცნობილი რუსთა ლიტერატორია, არც ერთ ჩვენებურ პარტიას არ ეკუთვნის" და ეს ამიტომ მისი სიტყვები ყოვლად სარწმუნოაო. აი სიტყვებიც: „ახლანდელი გამგეობა შავი ქვის მრეწველობისა ერთგულათ ემსახურება საქმის ინტერესებს; მას აქვს შედგენილი გეგმა ყოველგვარის გაუკეთესობისა ამ სფერაში, მეტადრე დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა მდგომარეობის გაუკეთესებას და სხ. და სხ. ერთი სიტყვით ეს ვითომდა პარტიას გარეშე დარჩენილი მწერალი დიდ პარტიობას უწევს საბჭოს, ეს რამდენიმე წელიწადია მას უკმევს გუნდრუკს და ასეთივე მომქმედ პირათ დარჩება მომავალშიაც. ასეთია „ივერიის" „მიუდგომელი" ავტორიტეტი! ბ. ომს არ ჩამორჩა არც ბ. პეტრე უმიკაშვილი. ამან მეორე დღეს (11 იანვ.) მთელი პროკლამაცია დაბეჭდა „ცნ. ფურცელში", რომელიც ასე

თავდება: ,,ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ რასაც ამბობენ ჯერ, ან უცოდინარობის ნაყოფია ან კერძო ინტერესების'' და სხ. და ამასთანავე დასძენს ,,მე მხოლოდ სიმართლე მალაპარაკებსო''.

ამ ნაირათ, როგორც ხედავთ ,,ნოვოე ობოზრენიე'', ,,ივერია'' და ,,ცნობის ფურცელი'' ერთხმათ ლაღადებენ, სიმართლე ჩვენი სამფარველო საბჭოსკენააო. ჩვენ არ ვიცით ეგ ,,სიმართლე'' საიდან მიაპოვეს ამ ორგანოებმა, ამაზე არას ამბობენ. ყოველივე მოქმედების სამართლიანათ დაფასება შეიძლება ამ მოქმედების ანგარიშის განხილვით, მით უფრო, როცა ეს ანგარიში თვით მომქმედი პირისაგან არის შედგენილი და დაბეჭდილი. აი ჩვენს წინ დევს ,,შავი ქვის საბჭოს მოქმედების ანგარიში'', ,,სარევიზიო კომისიის ანგარიში'' *) და სხვა დაბეჭდილი საბუთები შავი ქვის შესახებ. გავიგოთ ვინ ლაპარაკობს სიმართლეს: საბჭოს ნაფიცი ვექილნი თუ ეს საბუთები. ამისათვის განვიხილოთ უკანასკნელნი.

შავი ქვის წარმოების უმაღლესი პატრონი და ბატონი შავი ქვის მრეწველთა კრებაა; საბჭო კი კრების ორგანოა, მაშასადამე უპირველესი მისი მოვალეობა უნდა იყოს კრების განჩინების სისრულეში მოყვანა. საბჭოს მოღვაწეობაც უმთავრესათ ამაში გამოიხატება. ამ მხრით თუ გავსინჯავთ ,,ანგარიშს'' დავინახავთ შემდეგს.

შავი ქვის მრეწველთა მესამე კრებას (1900 წ.) მიუღია 27 განაჩენი და გადაუცია საბჭოსთვის ასასრულებლათ. ყველა ეს განაჩენი ანუსხულია ,,ანგარიშის'' პირველ ხუთ გვერდზე და ამას მისდევს საბჭოს პასუხი თვითეულ მუხლზე. აი უმთავრესი განაჩენები: განაწილება სტიპენდიების, ჭიათურის ქსენონის კრების ხელში გადმოტანა, ჭიათურის პასადათ გადაკეთება, მუშებთან ანგარიშის გასწორება საქმის დღეებში და არა კვირაობით, დაარსება მუშათათვის სამკითხველოსი, იაფი სასადილოსი, სახალხო თეატრის და კითხვების, დაარსება სტატისტიკური ბიუროსი მუშათა ყოფა-მდგომარეობის გამოსაკვლევათ, საბჭოს ჭიათურაში გადატანა და სხ. და სხ.

**არც ერთი უმთავრესი განჩინება საბჭოს სისრულეში არ მოუყვანია.**

დავიწყოთ სტიპენდიით. ამ საგნისათვის კრებამ ორი წლისათვის გადადვა 5,680 მ. საბჭოს კი გაუცია 2.800, ესე იგი ნახევარზე მეტი საბჭოს შეუნახავს და ეს მაშინ, როდესაც არა ერთი და ორი მოსწავლე ებრძვის სიმშილ-სიცივეს სხვადასხვა სასწავლებლებში! კრებამ ამათ მოეპყრა გულმტკივნეულობით, ხოლო საბჭო კი ამას წინ გადაეღობა და ღარიბი მოსწავლენი უმწეოთ დატოვა.

კრებამ დაადგინა: მოწვეულ იქნას სამი სტატისტიკოსი, ერთი უფროსი და ორი მისი თანაშემწე. საბჭომ არ მოიწვია პირველი, ხოლო მეორეთ დანიშნულება შეუცვალა, ჭიათურის მუშათა ყოფამდგომარეობას ისინი სრულიად არ იძიებენ და ამ მხრით ეს ვითომდა ბიურო გამოუსადეგარი დარჩა **).

საბჭომ არ აასრულა კრების დადგენილება შავი ქვის მუშათათვის განსაკუთრებითი საავათმყოფოს დაარსების შესახებ. ამის პასუხათ აი რას სწერს საბჭო: ,,საავათმყოფოს აშენებას არ შევუდექით იმიტომ, რომ არსებული ქსენონი ჭიათურაში თავისი კრავატებით და სიდიდით სრულიად აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებას ექიმობაში'' (გვ. 30). როგორ მოგწონთ ეს? კრება ამბობს, საჭიროა ცალკე საავათმყოფო მუშებისათვისო, საბჭო კი ორი წლის მერე უსწორებს, არ არის საჭიროვო! კრება იცავს მუშების ინტერესებს, საბჭო კი მას ფეხქვეშ თელავს და გაიძახის, ავათმყოფი მუშები, თუ სურთ, ქსენონში მოვიდნენო, იმ ქსენონში, სადაც არავითარი წეს-რიგი არ არსებობს, როგორც ქვევით დავინახავთ. ხოლო განაჩენი—ქსენონი ერთიანათ კრების ხელში გადმოვიდესო, საბჭომ ვერ მოიყვანა სისრულეში.

საბჭოს, წინააღმდეგ კრების დადგენილებისა, არ გაუხსნია მუშათათვის სამკითხველო და სასადილო. ამის პასუხათ ის სწერს: ,,ცალკე სახალხო სამკითხველო ვერ გავხსენით იმისთვის, რომ მუშები გაბნეულია მაღნებში, რომელნიც ჭიათურიდან 3—5 ვერსტით არიან მოცილებულნი და არ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველოთი, როგორც ამ სიშორის, ისე წერა-კითხვის უცოდინარობის მიზეზით'' (40 გვ.). ნამდვილათ კი იგივე მუშები კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიან ჭიათურაში ანგარიშის მისაღებათ და სამკითხველოთითაც ისარგებლებდენ. და განა არ შეიძლებოდა სამკითხველოს გახსნა მუშათა რაიონში? ყველაფერი შეიძლებოდა, მაგრამ ამას გულშემატკივარი საბჭო ესაჭიროება და არა ის, რომელიც ამბობს: ,,ვისაც კითხვა უნდა, შეუძლიათ საბჭოს ბიბლიოთეკაში მოვიდნენო''! (იქ.).

რაც შეეხება იაფ სასადილოებს ,,მათი გამართვა არც ისე ადვილია, როგორც პირველათ გეგონებათ, სწერს საბჭო. დამაბრკოლებელი მიზეზია საჭირო ფულის უქონლობა და სასადილოთა ტიპის შეუმუშავებლობა'' (41 გვ.).

როგორც ხედავთ, საბჭო ფულის ყაირათობას ეწევა მოსწავლეთა, მუშათა და სხვა ასეთი დაბალ ლობეთა ანგარიშზე. ხოლო სხვებისთვის კი დიდ ხელგაშლილობას იჩენს, რასაც ქვევით დავინახავთ.

სახალხო კითხვებიც არ გაუმართავს საბჭოს. ამის მიზეზათ ასახელებს ექიმი ჯაფარიძის ავათმყოფობას, რომლისთვისაც მიუნდვია კითხვების მორთვა საექიმო მეცნიერების შესახებ (გვ. 40). ნუთუ ის მუდამ ავათ იყო? მაშ რა ნაირათ უვლის ქსენონს? ან და ჯაფარიძის გარდა კაცი აღარ იყო ქვეყანაზე, რომ სახალხო კითხვისთვის მოეწვიათ? განა საქმის აგდებას არ ნიშნავს იმის თქმა, რომ ორ წელიწად ნახევარს ვერც ერთი კითხვა ვერ გავმართეთ ჯაფარიძის ავათმყოფობის მიზეზითო?—სახალხო წარმოდგენა კი საანგარიშო დროს ყოფილა მხოლოდ 8-ჯერ დ ესეც ქუთათურთა თაოსნობით. საბჭოს ფულით აღმოუჩენია დახმარება.

საბჭოს ვერ აუსრულებია კრების დადგენილება—მუშებთან ანგარიშის საქმის დღეს გასწორების შესახებ. ამ საგანზე საბჭოს დაუწერია მრავალი თხოვნები (ერთი იმერეთის ეპისკოპოზისთვისაც კი მიუცია), და ბოლოს მოსვლია ცნობა, რომ ეს საქე შინაურულია და მრეწველებთან მოლაპარაკებით უნდა გაათავოთო. საბჭოს მიუმართავს წერილობით თვითეული მრეწველისთვის და პასუხი მხოლოდ ხუთისაგან მიუღია. ორში ერთი: ან მრეწველნი წინააღმდეგი არიან საქმის დღეს გასწორებისა ან და იმდენ პატივს არ სცემენ საბჭოს, რომ წერილზე პასუხი გასცენ. პირველი მოსაზრების უსაფუძვლობა აშკარაა იქიდან, რომ ამ გვარი განჩინება მათ დაადგინეს და დაავალეს საბჭოს სისრულეში მოყვანა: დაგვრჩა მეორე მოსაზრება, რაც სიმართლესთან ახლოს არის. საბჭოს იმდენი ავტორიტეტი არ აქვს მწარმოებელთა შორის, რომ წერილის პასუხი მიიღოს! საბჭოს შეეძლო მრეწველთა ყრილობა მოეხდინა და შესაფერი განაჩენი წარედგინა ხელმოსაწერათ, მაგრამ ამას შრომა და საქმიანობა უნდა, რაც მას ასე ეჯავრება. საბჭო, წინააღმდეგ კრების

*) ,,Отчетъ о дѣятельности совѣта съѣзда, избраннаго на III съѣздѣ марганцепромышленниковъ''; ,,Докладъ ревизіонной комиссіи, избранной на III-мъ очереднемъ съѣздѣ марганцепромышленниковъ'', ,,Денежный Отчетъ'' და სხ.

**) იხ. ამის შესახებ მარილაძის წერილი ,,კვალი'' № 50 1902 წ.

დადგენილებისა, ქუთაისიდან ჭიათურაში არ გადასულა. ამის მიზეზათ ასახელებს ჭიათურაში შესაფერი შენობის უქონლობას (გვ. 104). ჭიათურაში, სადაც ამდენი კანტორები და საქმეები თავსდება, საბჭო ვერ მოთავსდება თურმე!

საბჭომ დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინა აბანოს აგებაში. კრებამ ამ საქმისათვის გადადვა რვაათასი მანეთი და კატეგორიულათ უარი თქვა აბანოს ელექტრონით განათებაზე. მიუხედავათ ამისა საბჭო მრეწველთა სურვილის წინაამდეგ აგებს აბანოს ელექტრონის განათებით და სხვა ზედმეტი დამატებებით, რაზედაც ხარჯავს მრეწველთა 92,500 მანეთს! ეს ახირებული საბჭო ჩიოდა, იაფი სასადილოებისათვის ფული არა გვაქვს, ხოლო მშიერ-მწყურვალ მუშებს კი ელექტრონიან აბანოს უშენებს! მარა მართლა დიდი რამ არ გეგონოთ ეს აბანო, სულ არის ერთი საბანაო ზალა და ორი ნომერი! ხოლო კარიდორები, საცდელი და სხვა ასეთი პაწია ოთახები კი ბლომათაა.

რამ გამოიწვია ამდენი ფულის დახარჯვა აბანოზე? ეს ძნელი გამოსაცნობია, ვიცით მხოლოდ რომ ამ აბანოს აშენებდა სამთო ინჟინერი მიხაილოვი (თუმცა ეს არხიტექტურის საქმეა), ხოლო მიხაილოვს დიდ თანაგრძნობას უწევს საბჭო. მაგ., მიხაილოვთან მას პირობა აქვს შეკრული გზების და ელექტრონის განათების შესახებ. პირობის ძალით მიხაილოვმა უნდა მიიღოს 2,665 მ. პირობაზე ხელის მოწერის დროს, 2665 მან. პროექტის წარმოდგენის დროს და 2665 მან. პროექტის წარმოდგენიდან ორი თვის განმავლობაში. პირველი ნაწილი უკვე მიიღო და კრებამაც მოიწონა. ხოლო დანარჩენი პროექტის წარმოდგენის შემდეგ უნდა მიეღო. მიუხედავათ ამისა, საბჭო მაინც აძლევს მას 2667 მ., თუმცა პროექტი არ წარმოუდგენია (იხ. სარევიზიო კომისის მოხსენება, გვ. 9). აშკარაა, ბ. მიხაილოვს და საბჭოს შორის დიდი თანაგრძნობა უნდა სუფევდეს. საბჭო მას აბარებს აბანოს აშენებას, სხვადასხვა პროექტების შედგენას, პირობასაც მის სასარგებლოთ არღვევს და სხ. სამაგიეროთ ბ-ნმა მიხაილოვმა, რომელიც ქუთაისის მილით წყლის გაყვანის საქმეს მეთაურობს, საბჭოს თავმჯდომარე ბ. ზდანოვიჩი ამ საქმის გამგეობის თავმჯდომარეთ მოიწვია. და ასე, ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს...

ერთი სიტყვით, საბჭომ არც ერთი მთავარი დადგენილება კრებისა არ შეასრულა, გარდა ბანკის გახსნისა, და ესეც ალბათ იმიტომ, რომ ბანკს ჯამაგირიანი ადგილები მოყვა და ეს ხომ ყოველთვის სანთლით საძებარია. წვრილ-წვრილი განჩინება, როგორც, მაგ., პოლიციელთათვის ჯამაგირების მომატება, ეკკლესიის აშენებისთვის დახმარება და სხ. ასეთი საბჭოს სისრულეში მოუყვანია ***).

რაკი საბჭომ კრების განჩინებათა განხორციელებაში ვერ გამოიჩინა უნარი, იქნება თვითონ მაინც რამე ითავა და გააკეთა. საანგარიშო დროს მას დაუწერია ორი თხოვნა—ერთი ტარიფის შემცირების და მეორე კრებაზე ქართულათ ლაპარაკის ნებართვის შესახებ. ორივეზე უარი მოსვლია, ამაში გამოიხატა მისი თაოსნობა.

ახლა გადავიდეთ საბჭოს საშინაო-სამეურნეო მოღვაწეობაზე, გავიგოთ როგორ უვლის ის კრების ქონებას, როგორ პატრონობს გზებს, როგორ ხარჯავს ფულებს დ სხ. აქ ჩვენ მივმართავთ სარევიზიო კომისიის მოხსენებას. პირველათ გავსინჯოთ ფულის ხარჯვის წეს-რიგი. ამის შესახებ სარევიზიო კომისია სწერს:

„კასის შავი დავთარი სრულიად არ არსებობს, არის რაღაც დავთარი, სადაც სწერენ ისეთ ფულსაც, რომელიც კასაში არ შემოსულა და არც გასულა. ამიტომ რევიზიის პირველ დღეს (15 ნოემბერი) გამოვიდა გასავალი 4540 მან. და 22 კაპეიკით მეტი შემოსავალზე, და მხოლოდ ბუღალტრის განმარტების შემდეგ (კასირმა განმარტება ვერ მოგვცა) მივიღეთ დაახლოვებით იმდენი ჯამი, რამდენიც კასაში აღმოჩდა. ეგრეთ წოდებული კასის თეთრი დავთარი თავიდან ბოლომდის სავსეა წაშლილებით, გამოანგარიშებებით და გადასწორებულებებით. ასე რომ ეს დავთარი კარგავს ყოველივე დამამტკიცებელ ძალას. ჩეკის წიგნები გასავალში არ არის შეტანილი, არც ერთი გაცემული ჩეკი 1898 წლიდან... ჭიათურის საურთიერთო ნდობის ბანკის საანგარიშო წიგნში არ არის მოთავსებული ამ ბანკში შეტანილი ყველა ფული, რისთვისაც სარევიზიო კომისია მოკლებული იყო საშუალებას გაეგო კრების რამდენი ფული ინახება ერთ ან მეორე ბანკში... თავ დავთარსაც დაახლოვებით იგივე ნაკლულევანება აქვს, რაც კასის თეთრ დავთარს. რაკი ასე არეულია ანგარიშები, ცხადია მისი დანამდვილებით გაგება და შემოწმება შეუძლებელია. ამიტომ ქუთაისის და ჭიათურის ბანკებში შეტანილი ფულის რაოდენობა (ეს რაოდენობა უჩვენებია თვით ბანკებს) კომისიას ვერ შეუმოწმებია კასის დავთრებთან (გვ. 2). ამას გარდა კომისია ჩივის, რომ კრების ფულს საბჭო ასესხებს კერძო პირთ, მაგ, „შავი-ქვის“ ამხანაგობისათვის უსესხებია 5070 მ. საბჭოს მეტი ჯამაგირები ურიგებია თავმჯდომარის მოადგილეების წევრებისათვის. პირველთ (ლეონიძე და ავერინო) აუღიათ 1651 მ. 81 კაპეიკით მეტი იმაზე, რაც ერგებოდათ, ხოლო წევრთ 1300 მან. მეტი. თვითეულ წევრს საბჭოსას ერგება 15 მ. თითო სხდომაზე დასწრებისათვის, ხოლო აუღიათ კი ოცდაათ-ოცდაათი მანეთი! (გვ. 4).

ყოვლად უხეირო მდგომარეობაში ყოფილა ქსენონი და გზები. პირველის შესახებ კომისია სწერს:

„რიგიანი რევიზიის მოხდენა ანგარიშებში ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც არავითარი ანგარიში არ არსებობს ქსენონში... საქმიდან სჩანს, რომ სანოვაგე მოქონდათ მთელი თვეების განმავლობაში, ხოლო მიღების დროს ზედამხედველს არავითარი მიღების კვიტანცია არ გაუცია. ამისათვის ცხადია, არსებული ანგარიშები ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. მაგ. გირკანქა ჩაის ფასათ ანგარიშში ნაჩვენებია 2 მ. 40 კაპ., ხოლო ნაყიდი იყო 1 მ. 60 კ. რადგანაც არავითარი დავთარი არ არსებობს ყოველდღიურ ხარჯების ჩასაწერათ, აშკარაა ზედამხედველს არა ჩვეულებრივი მეხსიერება უნდა ქონდეს, რომ ყოველ თვის ბოლოს მოიგონოს რამდენი კვერცხი, ხილი, პური, ღვინო, ხორცი და სხ. იყიდა და დიხარჯა. აგრეთვე ჩვენ ვერ ვნახეთ ვერავითარი ზაპასი სანოვაგესი, რომ მის ღირსებაზე რაიმე აზრი შეგვედგინა. ვერ გავიგეთ, რამდენი ფული უნდა იყოს ქსენონთან, რადგანაც ზედამხედველი კასის წიგნს არ აწარმოებს. მთელი ფული ექიმს აქვს ჯიბეში, ამ ფულის ჩასაწერი დავთარი არც მას აქვს... (გვ. 1). გადამდები სენით და ისე ავათმყოფნი ერთ შენობაში არიან, თუმცა სხვადასხვა ოთახებში, მაგრამ ეს ოთახები ისე დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ავათმყოფთა დაშორება გადამდები სენიანთაგან შეუძლებელია. „სტოროჟების ოთახი ისე ბინძურათ არის, რომ შეგებრალება ავათმყოფნი, რომელთაც ასეთ ბინძურ ოთახიდან გამოსული სტოროჟები უვლიან მართალია გადამდები სენით ავათმყოფთათვის აუშენებიათ ცალკე ბარაკი, მაგრამ იმდენი ხელმომჭირნეობა გამოუჩენიათ, რომ ბარაკის მაგიერ თავლა გამოსულა, რისთვისაც შიგ ალარავის აწვენენ და უბრალოთ ლპება. ქსენონში არ არის არც ვანის ოთახი და

***) საბჭოს განუხორციელებო, რახაკვირველია, თავისივე პროექტი და კრების მიერ მიღებული, მუშათა დაზღვევის შესახებ.

არც ფეხის ადგილი: ავათმყოფი იძულებულია წვიმაში და სიცივეში თფილ ოთახებიდან ცივ ჰაერზე გამოვიდეს. ავათმყოფთა მისაღები ოთახი, აფთიაქი და ფერშლების სადგომი თითქმის სრულიად დანგრეულია და ლამის ერთიანათ წაიქცეს, რისთვისაც რაც უნდა ცეცხლი ანთო, ისეთივე სიცივეა შიგ, როგორც გარეთ'' (გვ. 4). ექიმმა წარმოგვიდგინა 425 მ. 85 კ. ქსენონის ფულათ, მაგრამ რამდენათ შეესაბამებოდა ეს ჯამი საბჭოს დავთრებს ვერ გავიგეთ, რადგანაც საბჭოშიაც არ სცოდნოდათ, რამდენი ფულია ექიმზე დარჩენილი 15 ნოემბრამდის 1900 წ. აფთიაქის და ქსენონის ინვენტარი რიგზეა. ექიმი საავათმყოფოში ხშირათ არ დადის. დავთრებიდან ჩანს, რომ 1 ივლისიდან 1901 წ. 20 მარტამდის 1902 წ., ე. ი. 293 დღის განმავლობაში 169 დღეს საავათმყოფოში არ მოსულა. ქსენონის ანგარიშების არევ-დარევაზე ჩვენ მივაქციეთ საბჭოს ყურადღება. ჯერ კიდევ თებერვალში 1902 წ. მას გავუგზავნეთ რევიზიის პირი, რომელის შესახებ ერთი თვის შემდეგ დაადგინა: ,,სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა გადაიდვას'' (20 მარტი, 1902 წ.). მხოლოდ 30 ივნისს გაახსენდა ეს მოხსენება და დაადგინა: სახეში მივიღოთ და ახლო სხდომაზე მაზე ვიქონიოთ მსჯელობაო, მაგრამ არც ერთ სხდომაზე მაზე არ ულაპარაკიათ და ყოველივე ძველებურათ დარჩა (გვ. 5).

რაც შეეხება გზებს— სარევიზიო კომისია აი რას ამბობს: საჩხერის გზა—განით უნდა იყოს 3 საჟენამდის, ნამდვილათ კი 2 საჟენამდისაა, ტალახია გაუვალი; ნასაკირევის გზა —საშინელი ტალახიანია, ჩალვადრები იძულებულია შამოუარონ და ბილიკზე იარონ. ასეთსავე მდგომარეობაშია კირიას კენჭის გზა. მეჩხერის გზა—ტალახი 7 ვერშოკამდის, დადიან ბილიკებით; ხრამის გზა—სულ მთლათ ტალახში. ნიწის წყაროს გზა—ქსენონს და ხიდს შუა გავლა არ შეიძლება ტალახის გამო, უნდა იაროთ თხრილით და ბილიკით. და ასე სულ ყველა გზა. ჩალვადრები იხრჩობიან ტალახში. ბილიკებით და თხრილებით, სადაც მოახერხებენ. ეგების იფიქროთ აქ გზების რიგიანათ გაკეთება არ შეიძლებოდეს. სრულიადაც არა, სხვა დაწესებულება კარგათაც აკეთებს გზებს. მაგ., პერევისის გზა, გაკეთებული ქუთაისის გუბერნიის სამართველოს საამშენებლო განყოფილების მიერ, ,,ყოველ მხრით მაგალითათ უნდა ჩაითვალოს შავი ქვის გზებისათვის. აქ მთელ წელიწადს შეიძლება ქვის ურმით გადმოტანა. ასეთივეა შუქრუთის გზაც, რომელიც გაკეთებულია იმავე განყოფილებისაგან'' (9 გვ.). გარდა ამისა, საბჭოს ყოლია ტეხნიკი წერეთელი, რომელიც მიშვებულია მის ნებაზე და სრულიად უკონტროლოთ მოქმედებს. ის, რაც მან უნდა გააკეთოს, სხვებს აკეთებინებს და ამისათვის ფულს იხდის, საბჭოც აძლევს, რასაც მოითხოვს. ანგარიშებიც რასაკვირველია სწორი არ აქვს და ვერც გაიგებდა, ვის რამდენი მისცა და რისთვის (გვ. 2—3).

კმარა, ეს რევიზია კი არა, უსასტიკესი ბრალდებაა, უძლიერესი განაჩენია. რომელიც კი ჩვენში ოდესმე წარმოთქმულა საზოგადო დაწესებულების შესახებ. საზოგადო ფულის ასე უთავბოლოთ ხარჯვა ანუ, უკეთ, ფლანგვა—ჩვენში პირველი მაგალითია. ცხადია, დღევანდელი საბჭო, რომელიც ერთიანათ მის თავმჯდომარეში—ბ. ზდანოვიჩში—მდგომარეობს, უნიჭო ყოფილა არა მარტო კრების განჩინებათა განხორციელებაში, არა მარტო საქმეთა თაოსნობაში და გატარებაში, არა, ეს კიდევ არაფერი,—შეუძლებელი ყოფილა მისთვის ფულის მინდობა, რაიმე ეკონომიური მოქმედების ჩაბარება. მიაქვს ფული თვითონ მეტი, რაც ერგება, აძლევს სხვებს ანგარიშს გარეთ, ხარჯვენ უკანტროლოთ ვილაც ვილაცები და, როცა ამაზე უთითებენ ხმას, არ იღებს, და ამავე დროს მოწაფეთა და მუშათა ანგარიშზე ხელმომჭირნეობას ეწევა! ერთი სიტყვით მრეწველთა ფულს შამოხვევიან დიდ მაჯიანნი და დაუსჯელათ გააქვთ და გამოაქვთ.

ეს არის მოღვაწეობა, ეს არის მეთაურობა? ვნახოთ მრეწველთა დღევანდელი კრება როგორ გამოვა ამ სირცხვილისაგან, როგორ შეხვდება ამ მის ასეთ დამცირებას და საქვეყნოთ თავის მოჭრას...

ახლა კი მივმართავ ბ. პეტრე უმიკაშვილს და ვკითხავ: ნუ თუ ყველა ეს ,,უცოდინარობის და კერძო ინტერესების ბრალია? ნუ თუ მართლა გგონიათ, რომ თქვენ თქვენი დაცვით საზოგადო ინტერესებს ემსახურებით და არა კერძო ინტერესებს? თქვენ ხომ სიმართლე გაინტერესებთ, აი სიმართლეც! იმედია მას ზურგს არ შეაქცევთ...

გ. მარმალაძე.

---

## სხვადასხვა ამბები.

სტუდენტთა დამხმარებელი კავკასიის საზოგადოების შესახებ გაზ. ,,არგონავტში'' შემდეგი ცნობებია მოყვანილი: ამ წლის 1-ლ იანვრამდე დახმარება მიუღია 49 სტუდენტს 2521 მანეთით; აქედან 17 სტუდენტის სწავლის ფასათ ,,საზოგადოებას'' მიუცია 926 მან., სამგზავრო ხარჯის დასაფარავათ და საცხოვრებლათ 1595 მანეთი. თავდაპირველათ ,,საზოგადოებას'' ჰქონდა სულ ფულათ 6.830 მან. 9 კაპ., აქედან ხელ-უხლებელ თანხათ გადადებულია 400 თუმანი. ამ იანვრის 1-ლ რიცხვს ,,საზოგადოებაში'' წევრებათ ირიცხებოდენ 216 კაცი.

---

გაზეთ ,,ივერიას'' ყური მოუკრავს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს ქუთაისის დრამატიული დასი მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ და ზოგიერთ მსახიობების მიშველებით, სანამ მესხიშვილი განიკურნებოდეს, მართოს ქართული წარმოდგენები.

---

თამამშევის ქარვასლის პატრონს ტფილისში ამ ქარვასლის ელექტრონით განათება მოუსურვებია. ქალაქის გამგეობას ამის ნება მიუცია, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ქალაქსაც ცოტაოდენი სარგებლობა ჰქონდეს იმ მოგებიდან, რომელსაც ქარვასლის პატრონი ამ საქმიდან მიიღებს. ამას გარდა ერევნის მოედანი ოთხის ფარნით უნდა უსასყიდლოთ იქმნეს განათებულიო.

---

13 იანვარს მომხდარ კრებაზე ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ქალაქის მოურავის მოადგილეთ გამგეობის წევრი გ. ი გველესიანი (19 თეთ. და 7 შავი).

---

ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოთ ქუთაისში წარმოდგენის გამართვას აპირებენ 26 იანვარს.

---

12 იანვარს ერევნიდან მომავალი სახალხო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდნილა სადგურ ყარაპულახის ახლოს საღამოს შვიდ საათზე. ჯერ ორთქლ-მავალი გადაცდენია ლიანდაგს და დაქანებულა კარგა მაღალ ფერდობზე, ამას მიჰყოლია თურმე ვაგონებიც. მოკლულ იქმნა კონდუქტორი მიხეილ ჩიტაიშვილი, დაიჭრა ზოგი მძიმეთ და ზოგი მსუბუქათ 8 კაცი.

---

აზოვ-დონის კომერციულ ბანკს გადაუწყვეტია ქუთაისში ამ ბანკის განყოფილება დააარსოს.

---

წარსულ 1902 წლის განმავლობაში ტფილისის ქალაქის საყასბოზე დაუკლავთ სულ სხვილი საქონელი 58,601, ხბო-6,168, ღორი- 22,108, ცხვარი—202,498 და ცხენი—5.

---

გაზ. ,,ცნობ. ფურც". სწერენ ონიდან, რომ ამ ორის თვის წინად ონელებმა დაადგინეს დააარსონ სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ხარჯში მონაწილეობის მიღება ონს გარდა ზემო რაჭის სოფლებმაც იკისრეს. განაჩენი წარდგენილია დასამტკიცებლათ უმაღლეს მთავრობასთან.

---

ქალაქის განაპირა ადგილებში, ავლაბარზე, რამდენიმე მლაშე ტბაა. გამოჩენილა მსურველი, რომელსაც ამ ტბებიდან გლაუბერის მარილის ამოღება განუზრახავს, და ქალაქსა სთხოვს ამის ნებას. ქალაქის გამგეობას ქიმიკოს ბ-ნ ალიბეგოვისათვის მიუნდვია ამ ტბების ქიმიურად გამოკვლევა

---

ქუთაისიდგან გვწერენ, რომ იქ 14 იანვარს სხდომა ქონდა სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობას და მის ახლადარჩეულ ზედამხედველ კომიტეტს. კრების საგანი იყო არჩევა დამფასებლებისა. დიდი კამათის და გაცხარებულობის შემდეგ მრავალ ძველსა და ახალ კანდიდატებში გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტის შეერთებულ კრებას ოთხ დამფასებლად ამოურჩევია შემდეგი პირები. ძველებში—კ. დგებუაძე და ახლებში-- მიქელაძე, ვასილ თუმანიშვილი (ვექილი) და გიორგი დადიანი. ამბობენ ბანკის მმართველი მელნიკოვი ასეთი არჩევნებით ძალიან გულნატკენი დარჩენილა და თავის ახლათ მინიჭებულ უფლებით ისარგებლებს და ძველებს დატოვებს, რისგამოც ზედამხედველი კომიტეტი თავის დანებებით ემუქრება მას.

---

როგორც გაზეთი ,,ჩერნ. პობ". იუწყება მომავალი შავი ზღვის პირათ რკინის გზა უეჭველათ ბათუმიდან ტუაპსზე იქნება გაყვანილი.

---

## კორესპონდენციები.

**ქუთაისი.** საურთიერთო ბანკის საქმეები. აქაური საურთიერთო ბანკის საქმეების მართებლობის რევიზიამ დიდი მათქმა-მოთქმა გამოიწვია; იმით ყველანი დაინტერესებული იყვნენ: წევრნიც და არა-წევრნიც, ნასწავლნი და უსწავლნი, მოკეთენი და მტრებიც. ეს ინტერესი ზოგში პარტიული ბრძოლით იყო გამოწვეული და ბანკის ახლანდელ გამგებლების სიავ-კარგეს შეეხებოდა, ზოგსაც, მართლაც, ბანკის ნამდვილი ბედ-იღბალი აინტერესებდა. ორთავე მხარე მოუთმენლათ ელოდა რევიზორის ანგარიშის დასტამბვით გამოქვეყნებას და არა მარტო ნაჩქარევათ კრებაზე წაკითხვას, სადაც ასში ხუთიც თუ მოისმენს ჯეროვნათ და დაიმახსოვრებს ყოველივე შენიშვნებს. პირველათ მართლაც იმის დასტამბვას აპირებოდნენ, მარა დაფიქრების შემდეგ ეს ხელსაყრელი აღარ შეიქნა სხვადასხვა მოსაზრების გამო ისევ არჩიეს ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივ გზას დასდგომოდნენ: ეს და მისი საპასუხო მოხსენება კრებაზე წაეკითხათ. ეს კი სახეიროთ საქმე არ არის, რადგან ყველამ კარგა იცის და ბანკის გამგეთ, რა თქმა უნდა, კიდე უკეთ, რომ 3-4 საათის კრებაზე ჯეროვნათ არ გამოირკვეოდა ის საქმე, რომელსაც რევიზორებმა ორ კვირამდე მოანდომეს და ბანკის გამგეებმა იმათი პასუხის დაწერას 4-5 თვე. მაშ აქ ძალაუნებურათ უნდა დაყენებულიყო საკითხი შეუკამათებლათ იმათ ნდობის შესახებ.

ეს ასეც მოხდა: 12 იანვარს შეიკრიბენ საგანგებოთ მეორეთ მოწვეულნი წევრები 200—300-ს კაცამდი, მარა ვიღასიც და რიღასიც შიშით statu quo-ს გულუბრყვილო დამცველებმა ეს კრებაც კინაღამ საარაკოთ გახადეს. მერე საქმე სულ უბრალო იყო: უნდა აერჩიათ თავჯდომარე, რომელსაც ბევრგან და განსაკუთრებით ქუთაისში, სადაც იდეიურ ბრძოლას ყველაზე [illegible] ბით, ყოვლად შემძლებლის ძალას, რომ ამის [illegible] საქმის მოსაგებათ თავიანთი კაცი გაიყვანონ. 12 იანვრის კრებაც ამ საერთო კანონის გამონაკლისი არ ყოფილა, პირიქით საუკეთესო ილუსტრაცია იყო იმისი. კრების დაწყებამდი რჩევის თავჯდომარე ბ. ზდანოვიჩმა დაიძახა: კრებისათვის თავმჯდომარე ამოირჩიეთო. ბევრმა დაასახელა ვექილი დავით კვერკველია, რომელმაც, რადაც მოსაზრებით, კაი ხანს იბოდიშა, მოწინააღმდეგეების მიერ წამოყენებულ დავით ღოღობერიძესაც შეეპატიჟა და როცა მომხრეებმა დაუყენეს სავარძელში ჩაჯდომა, იმანაც,—აღარც აცხელა, აღარც აცივა,—დაიკავა შეძლეული ადგილი. მარა ნუ იტყვით, კალისტრატესავით, ეს ვექილიც თურმე აღკძალული ხილი ყოფილა, რომლის არამც თუ ჭამით, ხელის შეხებითაც კი წარწყმდების კაცი. შეიქმნა ეგრედ წოდებულ ინტელიგენციაში გაცხარებული ყვირილი: არ გვინდა კვერკველია, არა, ყუთი დაუდგით, ყუთი, და ყველანი მიეცნენ უზომო მღელვარებას, ერთი მეორის ლანძღვა-გინებას. მარა როცა სამაგიერო კაცის ძებნას მოყვენ და სათითაოთ „პატივცემულ პირთ" შეაძლიეს ეს თანამდებობა, ყველამ უარი თქვა: ვის იმედი არ ქონდა, რომ კენჭით კვერკველიას გაასწრებდა (მაგ., ახალგაზდა ვექილი ს. ჯაფარიძე), ვინ მოერიდა ამ დღეს ამ თანამდებობის შესრულებას. ბოლოს ვექილებში რომ ხსნა ველარ ნახეს, კრებამ ერთხმათ ექიმი ნ. ჭიჭინაძე აირჩია თავმჯდომარეთ და 10 საათზე როგორც იქნა შეუდგენ რევიზორის მოხსენების კითხვას.

ზოგი და მათ შორის დ. ჩიკვაიძე დაჟინებით თხოულობდა რევიზორის ანგარიშის დასტამბვას. ბ. კირილემ ეს არ ურჩია კრებას, რადგან საურთიერთო ბანკის საქმეები ამას არ თხოულობენ. მისი დასტამბვა, ვინ იცის, იქნებ საზიანოთ გახდეს, ვნებას მოუტანოს ბანკს და მაშინ ვინ კისრულობს პასუხის [illegible]. ჩვენი და საადგილ-მამულო ბანკი სხვადასხვა არის, რაც ერთს არგებს, ის მეორეს ავნებს და ამიტომ ჩემთვის თუმცა სულ [illegible], მარა დასტამბვას მაინც არ გირჩევთ. ბ. ნ. ელიავაც დასტამბვის მომხრე იყო და თუ ეს შეუძლებლათ მიგაჩნიათ, საჭიროა, რომ წევრებს, რომლის უმრავლესობას რუსული კარგათ არ ესმის, ქართულათ მოხსენდეს, რათა ყველამ ცხადათ და შეგნებულათ გაიგოს თავიანთი ბანკის მიმდინარეობის საქმეებიო. ამ წინადადებაზე ბანკის უხუცესმა მმართველმა თ. დ. პ. თუმანოვმა თანხმობა გამოაცხადა, მარა იგი ძალიან დაგვიანებული იყო, ნაშუადღევის 1 საათზე და აბა მაშინ ხელმეორეთ იმდენა მოხსენებას ვინღა მოუცდიდა, ისედაც სანახევროთ აღარ იყო ამ დროს დამსწრეები და ბევრი თვლემდა კიდეც.

ჩქარის კითხვით ბ. კირილემ $12^1/_2$ სათზე როგორც იქნა დაამთავრა რევიზორის მოხსენების და მაზედ ბანკის გამგეების პასუხის წაკითხვა. როგორც აღმოჩნდა მართებლობის რევიზორს ბევრი საგულისხმო შეცდომები აღმოუჩენია ბანკის წარმოებისსაქმეებში, მაგ., ვექსილების გაცემა-მიღება, წესდების გადახვევ-გადმოხვევა, მაგ., მარგანეცის წარმოებისათვის უზომო სესხების გაცემა, სადომბარდო საქმეების წარმოება და სხ. მისთ. რევიზორის მიერ აღნიშნული შეცთომები ზოგი თვით აღიარეს ბანკის ახლანდელმა გამგეებმა და დამსწრე წევრებშიაც ვინც ბრმა ფანატიკოსები არ იყვნენ, ესევე დაადასტურეს. მაგ. ბ. ს. ჯაფარიძე, რომელიც ნაფიცი დამცველია ძველი ჩვენი „ბურჯების" ქუთაისში, რევიზორის შენიშვნების წაკითხვის შემდეგ იძულებული იყო ეთქვა: „ბევრი შენიშვნები რევიზორის მართალი და საფუძვლიანია; როგორც ჩანს გამგეობას შეცთომები ბევრი ჩაუდენია, მარა ეს ხომ ყველას ბედია. ახლა უნდა დავუვალოთ მას ეს შეცთომები გაასწოროს და იმუამდგომლოს სადაც ჯერარს ჩვენ ბანკს უფლებები გაუფართოვონ, სხვადასხვა შეაიდგომლობანი აღძრან მთავრობის წინაშე".

კრებაზე ისიც თქვეს, რომ არჩეულ კომისიას, რომელსაც დავალებოდა გაერჩია რევიზორის მოხსენება და მაზედ ბანკის გამგეობის შენიშვნები და მოესსენებია თავისი აზრი საზოგადო კრებისათვის, რათა ამაზედ დამყარებოდა კრება და წარედგინა თავისი აზრი სამინისტროში, მარა ეს აზრი კრების მიწურულში გამოითქვა, როცა სამესამედოთ აღარ იყო წევრები და რადგან მას მომხრეები ცოტანი აღმოუჩდენ, კრებამ საჭიროთ აღარ დაინახა ახალი კომისიის ამორჩევა მით უფრო, რომ ბანკის საქმეების მცოდნე კაცებიც არ მოგვეძევებათ ჲ დაადგინეს: გაიგზავნოს სამინისტროში რევიზორის მოხსენებაზე დაწერილი პასუხი ჲ შუამდგომლობანი, დაევალოს ბანკის გამგეებს შეასწორონ ის შეცთომები, რომლებიც ნაჩვენებია რევიზორის მოხსენებაში, მომავალ მორიგ კრებამდი.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ როგორც რევიზორის მოხსენება, ისე მაზედ ბანკის გამგეების შენიშვნები მეტათ საინტერესონი არიან და ქუთათურ ორი დასის მოღვაწეობის დასახასიათებლათ კარგ მასალას წარმოადგენენ, მარა ჩვენ, მალიანაც რომ გვინდოდეს, იძულებულნი ვართ იმით ვერ ვისარგებლოთ, რადგან ყოველი საქმის სათავეში მდგომნი ქუთაისში ყოველგვარ საქმეების ცხრა კლიტულში ჩაკეტის მომხრეა, „ზაპრეშჩენიეს“ ადებენ, თითქოს მათი „მე“ და საზოგადო საქმე ტყუპი ძმები იყვნენ ერთმანეთისა. ჩვენ არ გვგონია, რომ ისეთი კულტურული დაწესებულების დაღუპვა, როგორიცაა ბანკი, (ვისმეს და თუნდაც უბადებულ დ. ჩიკვაიძეს) გულით უნდოდეს. მხოლოთ არ გვესმის ჩვენ ქუთათურ დიპლომიან ახალგაზდების მუდამ ჩვენი ძველი მოღვაწეების საღაც უნდა და არ უნდა გამოქომაგება, უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადება, კრიტიკის დაგმობა! ეს მათ რაღაც საპატიო ხელობათ მიუჩნევიათ და თავიანთი ვინაობის წამოყენებას ვერ ბედვენ...

ქუთათური დამსწრე.

---

## მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

„ცნობ. ფურც.“ დახელოვნებული და ერთგული მოსამსახურე ბ. ზდანოვიჩისა, ყოველ ზომას ხმარობს, რომ ბ. ზდანოვიჩს ლელო გაატანიოს. „გარეშე“ და შინაურის პირით ის ავრცელებს იმ აზრს, ვითომ მთელი ოპოზიცია კვალელებისაგან იყოს შემდგარი და კვალელები კი „კალისტრატეს“ მომხრენი იყონ!.. მაგრამ დავუთმოთ სიტყვა მჭევრმეტყველ „გარეშეს“.

„ჩვენი ხალხის დამცირების მსურველი პირი და ბურჟუიზმის ტიპიური განსხორციელება, დღეს გმირად გაუხდიათ კვალელებს!..

კალისტრატე, ემერიკი და კვალელი ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთ სულ და ერთ ხორც მოქმედებენ აქამდე“.

ორი წინადადება—ორი სიყალბე, ორი სიცრუე და ეს ორი სიყალბე და სიცრუე დასჭირდათ ბ. ზდანოვიჩის მომხრეებს..

კვალელები თუ მხარს უჭერს ოპოზიციას, ეს იმას ნიშნავს განა, რომ კვალელები კალისტრატეს ან ემერიკის მოტრფიალენი არიან?!. რასაკვირველია, არა. ამაში „ცნობ. ფურც.“-იც დარწმუნებულია მაგრამ..., მაგრამ „ცნობის ფურცელმა“ ოღონდ კი ბ. ზდანოვიჩს ერთგულება დაუმტკიცოს, ლელო გაატანიოს და ამისთვის ის მზათაა ლოღიკა და სიმართლე უარყოს. განა „ცნობ. ფურც.“ სიმართლეს ემსახურება!?

* * *

„ცნობ. ფურც.“ უსაფუძვლოთ ებუტება თავის ღვიძლ ძმას—„ივერიას“. ორივე ერთ იდეას ემსახურება, ორივე ერთნაირი გრძნობითაა გაჟღენთილი. ორივეს ერთნაირი თავმოყვარეობა აქვს ან, უფრო ჭეშმარიტი იქნება ვთქვათ, ორივე ერთნაირათ მოკლებულია თავმოყვარეობას. მათ წარმომადგენლებს უშვერი ლანძღვით გარეთ აგდებენ [illegible] მათი კორესპონდენტები თ. კ. აბაშიძის [illegible] ულოკავენ, დამცირებულნი—ბოდიშს იხდიან, პატივებას სთხოვენ ყოვლად უზრდელ, უმგვანო და პრესის დამამცირებელ საქციელის ჩამდენ «თავმჯდომარეს». „ცნობ. ფურც.“ კი გუშინდელ ნომერში ტაშს უკრავს ღირსეულ კ. აბაშიძის საზიზღარ სიტყვებს. ჭეშმარიტი პრესის „გარეშე“ მდგომი ვაჟბატონის პირით „ცნ. ფ.“ ბრძანებს, რომ კ. ნაკოლაძის „მოქმედება დასაგმობი იყო და დაჰგმეს კიდეც“-ო. დიახ, ის დასაგმობი იყო იმათგან, ვისაც თავმჯდომარის წყრომის ერიდება,..., ვინც ამისათვის მზათაა უარყოს თავის თავმოყვარეობა და დაამდაბლოს პრესის ღირსება... დიახ ასეთი პრესის ღირსეულმა წარმომადგენლებმა კიდევაც დაგმეს იმათი საქციელი, ვისაც მაღლა უჭირავს პატიოსანი პრესის დროშა.

დ. თ—ძე.

---

# აქეთური-იქითური.

(ფელეტონი).

ბედნიერია, მკითხველო, ის კაცი, ვისაც რკინის თავი აქვს, თუჯის—გული და შუშის--თვალები! ოხ, რა ბედნიერია! იმზირება და ვერაფერს ხედავს, ესმის და არაფერსა გრძნობს, კითხულობს და არაფერი გაეგება-რა. ცხოვრობს თავისთვის უდარდელათ, უზრუნველათ, რადგანაც ცხოვრება სამოთხე გონია—და ხალხი—ორჩოფეხები. მუდამ მხიარული, მუდამ უდარდელი, არხეინათ დატივტივებს ცხოვრების მორევის ტალღათა შორის და... სადაც მყუდროა იქ დაუშვებს იალქნებს, სადაც მღორე იქ ჩააგდებს ღუზას! წინ წყალი და უკან მეწყერიც კი ვერაფერს ავნებს, ვინაიდგან: „ცხოვრობდა—რა ნახა, მოკვდება და რა ინანოს?“

დიახ, ბედნიერია გულქვა, ან განგებ გამოლენჩებული ადამიანი! სადაც ხელი მიუწვდება—ყველაფერს მოტორავს დათვივით, სადაც რამეს მიაგნებს—გადაყლაპავს მგელივით! ონავარი ბუზანკალივით ყველასა კბენს, ხარაბუზასავით ყველას ფეხქვეშ ეგება და ჯაშუშივით ყველას უბღვერის!.. ცხვირს იქით ვერასა ხედავს და პირს იქით არაფერი სწამსრა!..

რა, რა მოკლავს უდროვოთ ასეთ ადამიანს!..

სამაგიეროთ, უბედურია მგრძნობიარე ადამიანი! უბედურია იმიტომ, რომ ამ ქვეყნათ სულის სიმშვიდეს ვერა პოულობს. ყოველგვარი უწესოება გულს უკლავს და მეოცნებე დღითი დღე სანთელივით იწვის, ნელ-ნელა ჰქრება. რასაკვირველია ცოცხალ სახედარზე მკვდარი ბულბული უფრო სახელოვანია, მაგრამ ის კი უსამართლობაა ბუნების მხრივ, რომ სახედრები უფრო დიდხანს ცოცხლობენ ხოლმე!..

ყველა ზემოთ ნათქვამი შემდეგმა გარემოებამ გამახსენა.

ამ დღეებში შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობთაგანი. ოდესმე ერთათ ვსწავლობდით.

კურთხეულის შვილი იალაღზე გაშვებულ მოზვერივით ჩასუქებულიყო. მშვენივრათ მორთულ-მოკაზმული, მთვარესავით გაბადრულიყო და სახეზე გამაძღარობისა და უდარდელობის ღიმილი უქროდა.

— აა, გამარჯვება, გამარჯვება! დამიძახა შორიდან და ჩემსკენ გამოექანა.

— აა, გამარჯვება, გამარჯვება-მეთქი! გავიმეორე მეც და ხელი გავუწოდე. ისე მაგრა ჩამომართვა ხელი, რომ კინაღამ თითები არ დამამტვრია. ვიდექით, ვიდექით... ვიბზუკუნეთ, ვიბზუკუნეთ... საერთო ვერა ვნახეთ რა ერთმანეთ-

ში. თავისს გუნებაში იმან მე შემიბრალა, მე კიდევ ის შემებრალა და განვშორდით... გამოთხოვებისას მივხვდი, რომ იგი ჩემთან თავისის ტანისამოსის, თავისის სისუნის საჩვენებლათ მოვიდა... მივხვდი, რომ მარჯვეთ დაუწყია ცურაობა და დიდხანს, დიდხანსაც იცურავებს და იცრუებს თავისდა საკეთილდღეოთ... მე ფეხით წამოვჩანჩალდი, ის კი გაპრიალებულ ეტლში ჩაბრძანდა და მოუსვა.

მოვდიოდი თავჩაღუნული. უეცრათ ოთხმა კაცმა კინალამ კუბო თავზე არ მომახალეს. კუბოს რამდენიმე კაცი და თალხებში ჩაცმული დედაკაცები მოსდევდენ.

მიცვალებულის ვინაობა ვიკითხე.

— მ-ძეა — მიპასუხეს.

გავშეშდი. სიმწარისაგან გული მომეკუმშა. ნიჭიერი, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი მ?!.. ვაი შენს მშობელს! მოგიდნო, დაგაჭლექა, მტვრათ გაქცია ცხოვრებამ შენმა მისწრაფებამ, შენმა ადამიანობამ მეთქი! წავიბუტბუტე თვალცრემლიანმა და პროცესიას ავედევნე. ცხრა თვალა მზე უდარდელათ ანათებდა ქვეყანას, ირგვლივ სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა, მხოლოდ დიაკვანი მიზმუკუნებდა ნაღვლიან „წმიდაო ღმერთოს“ და ჩვენ უდროოთ ჩაფერფლილი მ სასაფლაოზე მიგვქონდა...

*
* *

გულ-მოკლული, აღშფოთებული დავბრუნდი სახლში... მართალი მოგახსენოთ მთელი ჩვენი ზობოქრობა, ჩვენი მამულიშვილობა *), ჩვენი ზარი და ზეიმი ,,არა მე გჯობივარ, არა მეო“ არარაობათ, ჩხირკედელაობათ მომეჩვენა... სიტყვიერათ რასა ვყვირით, რა თავ-პირს ვაჭამთ ერთმანეთს, როდესაც საქმით არავისი თანამგრძნობი არა ვართ და მარტო ის მოგვწონს, მარტო მისთვისა ვზრუნავთ, ვინც მაღლა აცოცებულა და გარეგნობით ბზინავს. ეჰ, რა სთქვას კაცმა!

ისევ ისა სჯობია ამ კვირაში მომხდარ ამბებს დავუბრუნდეთ.

* *
*

ყველაზე საგულისხმიერო და სასიამოვნო ამბავი ის არის, ჩემო მკითხველებო, რომ ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო საჭიროებათა გამომკვლევმა კომიტეტმა, თვით გუბერნატორის გენერალ-მაიორის სმაგინის თანადასწრებით და დადასტურებით გადასწყვიტა სთხოვონ უმაღლესს მთავრობას ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლებში შემოღებულ იქმნეს სამშობლო (ქართული) ენა და ამ ენის საფუძვლიანათ შესწავლაზე დამყარებულ იქმნეს მოზარდ თაობის მთელი პირველ-დაწყებითი განათლება. ამ სურვილს ყველა ჩვენთაგანი გულით ატარებდა და ატარებს, მაგრამ ასე გაბედვით, ასე გადაწყვეტით არა ქართველთაგან ასეთის თანაგრძნობით ეს საჭირბოროტო და საშვილიშვილო საქმე არასოდეს არ აღძვრია. ვაშა, ყველა იმ ქართველთ, რომელთაც გაბედეს ხმის ამოღება, პატივისცემა იმ რუსთ, რომელნიც თანაგრძნობით მიეგებნენ ჩვენ კანონიერ მოთხოვნილებას! თორემ ვისთვის რა ხელსაყრელია, თქვენი ჭირიმე, ისეთი წვალება ბავშვებისა და მასწავლებლისა, როგორიც თანა სდევდა ცნობილ ,,მუნჯურ მეთოდს“. (მოზარდთა აღზრდას უდედაენოთ).

მუნჯურის მეთოდის უკუღმართობის გასათვალისწინებლათ ერთი ცნობილი მაგალითიც კმარა. ერთ მასწავლებელს მოუხდა თურმე შეესწავლებინა ბავშვებისათვის რუსული წინადადება: ,,**ქათამი კვერცხსა სდებს**“. ქართულათ გადათარგმნა აღკრძალული იყო. მაშ როგორ გაეგებინებინა ბავშვებისათვის? აი როგორ.

მასწავლებელს აუღია ხელში კვერცხი. ქათ[illegible] ჯდარა, კვერცხი ქვეშ ამოუდვია და გარინდებულ[illegible] კვერცხი იატაკზე დაუდვია ამ დარბაისელ მასწავლებელს და დაუწყია კაკანი. ვითომ (გაიგეთ ბავშვებო!) მე ქათამი ვარ და კვერცხი დავდეო. ბავშვები თურმე ჯერ შეშინდენ, ეგონათ მასწავლებელი გადაირიაო და როცა ცოტათი მიხვდენ, მოყვენ ხარხარს“.

აი რა სამარცხვინო ,,მეთოდი“ უნდა მოგვაშოროს თავიდგან ქუთაისის გუბერნიის სოფლის საჭიროებათა გამომკვლევმა კომიტეტმა!

*
* *

დიდი სამსახური გაგვიწიეს, ამ კვირეს შეგნებულმა რუსებმა თავისის თანაგრძნობით, მაგრამ ვერაფერი აბრუნდი მოსვლია სახალხო სკოლების ინსპექტორს, ჩვენ თანამემამულეს ბ. მაჭავარიანს. ჯერ ერთი რომ ფეთფეხელის ცოლივით თავისი თავი თითონვე ,,გაიროზგა“, როდესაც სახალხო დირექციის საიდუმლოებანი გამოამჟღავნა *) და მეორეც, ერთგულებაში ყველას გადააჭარბა, როდესაც უტიფრათ აღიარა: ,,**ბიბლიოთეკებს კონტროლი უნდა დავუნიშნოთ, რომ იქ მაღალ საგნებზე არ იბაასონო**“. სწორეთ საკვირველი კაცი ბრძანებულა ბ. მაჭავარიანი! ჩვენ წიგნების გამომცემლებს რომ ხეირიანი ალღო ჰქონდეთ, უეჭველათ გამოსცემდენ მისს სურათს, რომ შთამამავლობას არ დაეკარგოს ამ ყოვლად გულშემატკივარის კაცის სახე.

*
* *

დასასურათებელი და დასახატავი ბ. გ. ზდანოვიჩიც კი ყოფილა, მაგრამ ახლა ისეთი ოროსტრიალია ქუთაისში, რომ მგონი ამისათვის ჯერ-ჯერობით ვერავინ მოიცლის და ვერც მოახერხებს მის დასურათებას. რა სურს, რა სწადიან ბ-ნ ზდანოვიჩს, ჭიათურაში შავი ქვით მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ჯერ დანამდვილებით არა ჩანს (თუ არ ვიგულისხმებთ, რასაკვირველია, რომ ისევ თავმჯდომარეობა სურს) —თავს იკატუნებს, სიტყვებს წარა-მარა ისვრის, მის კბილის ჭიათ გაჩენილ ბბ. ემერიკს, კაკაბაძეს, ჭიჭინაძეს და სხვათ უდიერათ იხსენიებს, ხოლო ,,კვალი“ კი კისერში გასჩხირვია. ალბათ თუ წაიკითხა „კვალის“ თანამშრომლის ანგარიში! მაგრამ არა—ზდანოვიჩს ,,კვალის“ ჯავრი დიდი ხანია სჭირს და მალეც ვერ მოინელებს. ბ. ზდანოვიჩის ვაჟკაცობა არც ,,ივერიისთვისაა“ უცნობი, მაგრამ ე ,,ცნობის ფურცელი“ რომ ატესტატს აძლევს ბ-ნ პეტრე უმიკაშვილის ლოცვა-კურთხევით—ნეტა რასა ნიშნავს?.. მაგრამ ქვეყნათ ყველაფერი შესაძლებელია, შეიძლება ყველანი სცდებოდენ, სცდებოდეს თვით მრეწველთა უმრავლესობა, სცდებოდეს ჭიათურის მუშათა უკუღმართი ცხოვრება და მარტო ,,ცნ. ფ“. მხცოვანი თანამშრომელი იყოს მართალი. რა ვიცით! ახლა ისეთი დროა, რომ სიტყვა კარებამდის აღარ მისდევს კაცსა და საქმე—ხიზილალად გადაქცეულა.

*
* *

გულმავიწყობასა და უთაურობას თქვენი ჭირიც წაუღია. სავალალო ის არის რომ ჭიათურის მრეწველთა მე-5 კრების თავმჯდომარეს ისე აჭრელებია თვალები, რომ პრესა და პრესის წარმომადგენელნი ,,ჩორტათ“ მოლანდებია. აი ბატონებო მოისმინეთ დასტკბით:

,,**დღეს კრების თავმჯდომარე, ცეიტლინმა, ,,ჩორტთან**“

---

*] ჩვენებურ პატრიოტების შესახებ, თუ გარემოებამ ხელი შემიწყო, ცალკე წერილი მექმნება. ი.

*) ,,ერთად ერთი მიზანი თვითეულის ჩვენგანის ის არისო, უთქვამს ბ. მაჭავარიანს, რომ რაც შეიძლება მეტი შკოლები გავხსნათ, ხოლო რიგიანათ იქმნება მოწყობილი თუ არა, ამას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთო“. ,,ცნ. ფ. № 2036“.

გაგზავნა პრესის წარმომადგენლები. (რამდენიმე კორესპონდენტმა) მიგზავნა კაცი ცეიტლინთან თხოვნით: კორესპონდენტებისათვის მეტი ადგილი მიეცათ რადგანაც ერთ ლოჟაში ყველანი ვერ ეტეოდენ. ცეიტლინმა უთხრა მოციქულს: убирайся къ чорту со своими корреспондентами-ო მოციქულმაც თავისი მხრივ რასაკვირველია არ შეარჩინა ეს თავხედობა და ბ. თავმჯდომარეს ეს სიტყვები უკან დაუბრუნა. შემდეგ ცეიტლინის სიტყვები ამხანაგებს გაუზიარა. ნ—ძე ლოჟიდან გადახტა და ცეიტლინს მოთხოვა გამეორება იგივე სიტყვები, მარა მან უარი სთქვა ამაზე. ნ—ძემ უთხრა: разъ вы не говорите, значитъ, чувствуете за собою грѣхъ და უკან გამობრუნდა. გალერეიდან გახურებული ტაში დაუკრეს. შემდეგ ზდანოვიჩის ერთი დამქაშთაგანი იქით გაძვრა, აქეთ გამოძვრა, იშოვა რამდენიმე გაზეთის თანამშრომელი და თავმჯდომარეს მოახსენა. ბოდიშს იხდიან თქვენ წინაშე „Нов. Об.“ „ივერიის“, „ცნობ. ფურცლის“ და „Торг. Пром. Газ“. თანამშრომლები за ту дикую выходку, какая имѣла сейчасъ мѣсто и выражаютъ порицаніе г. Николадзе“.

როგორ მოგწონთ, ბატონებო, ზრდილობიანი საქციელი ბ. ცეიტლინისა, ლაქიობა დამქაშისა და ბოდიში დასახელებულ გაზეთების წარმომადგენლებისა. რა არის „გეკუბა“ ბ. თავმჯდომარისა, რომ ნიანგის ცრემლებსა ღვრის. თუ თავის მოწონება არა აქვთ „Нов. Обоз“. „ივერიის“ „ცნობ. ფურც.“ ბ-ნ კორესპონდენტებს, პრესისთვის მაინც ეცათ პატივი, მაგრამ... ვაი თუ ამ საქციელში ძაღლის თავი იყოს დამარხული!

*
* *

რაღაც ღრმა აზრი უნდა იყოს დამარხული აგრეთვე „ცნობის ფურცლის“ დამატების კარიკატურაში! (იხილე დამატება № 83 უკან, გვერდი). ნეტა რას უნდა ნიშნავდეს, ერთი მუჭა კაცი, ორი მუჭა ქუდი და ოთხი მუჭა ხმალხანჯალი რომ „გამოჯგიმა“ ორთითებით შეიარაღებულ ფეხშიშველა ჯარი? ნუ თუ ქიათურელ „დაბალ ხალხს“ არ ესმის „რასა იქმან“, ტვინი არა აქვთ და მოსაზრება აკლიათ, თუ ბ-ნი ზდანოვიჩი იმდენათ წმინდა დ მიუწდომელი კაცია, რომ მასთან შედარებით არა მდიდარნი სამასხარონი არიან?! ვინც გამოიცნობს ამ სურათების ნამდვილ მნიშვნელობას ჩემი ფელეტონი იმისთვის მიძღვნია.

*
* *

ამოცანების ახსნა კი არ მეხერხება, მაგრამ ჩემი ნაამხანაგარი რომ ახირებული კაცი ყოფილა, ამას არც დაცი უნდა და არც ფიცი.

„შენ ეი, „კვალისტო“, გამომეხმაურა გუშინ დილით ერთი ჩემი ნაამხანაგარი (ექიმი გახლავთ).

— რა გნებავს მეთქი!

— თუ იესო მაცხოვარი გიყვარს, ამიხსენი: რათა სდევნის „კვალი“ ეროვნულ კითხვას, რატომ არა პატრიოტობსო. მართალი მოგახსენოთ გავკვირდი!

— ეშმაკმა იცის შენი თავი, როგორ გესმის შენ პატრიოტობა, ეროვნული კითხვა—პატრიოტობა იქნება მარტო ლობიოსა და ქართველის ჭამა გგონია მეთქი. შევუტიე გულნაკლულმა.

— კარგი, კარგი... ნუ აფუჩეჩებო, ეშმაკურათ ჩამიკრა თვალი.

მე უარესად გავცხარდი.

— კითხულობ მეთქი „კვალსა“? შევეკითხე.

— მართალი გითხრა ერთ წელიწადზე მეტია არ წამიკითხავს! ასე მითხრესო *)...

*) თითქმის ასევე მითხრა მეორე ცნობილმა მოღვაწემ, რომელიც „ივერია“-ში თანამშრომლობს. ი. მ.

რაღა უნდა მელაპარაკნა, თუ ღმერთი გრწამთ, ამისთანა კაციან? ხმა ამოუღებლივ გამოვეთხოვე და წამოვედი.

ესეც გამოვარდა მეორე ბ. ზანგი, რომელსაც ქართულ ლიტერატურისა არ სცოდნია რა და კრიტიკას უწერს ჩვენ მწერლებს... დიდი გამბედავები კი უნდა იყვნენ ეს ვაჟბატონები თუ თქვენც დამეთანხმებით!..

*
* *

დიდი გამბედავი ყოფილა ბ-ნი ბზიკიც,—„ივერიის“—მეექვსე ნომრის ფელეტონის ავტორი. ისე დინჯათ წყლის ნაყვას და ნაციონალურ ლობიოს შეზავებას ბევრი ვერ მოახერხებდა, მაგრამ... ამაზე კვლავ...

ასოთ-ამწყობები აღარ მაცლიან, ასასებივით დამდგომიან თავზე და სულ „ჩქარა-ჩქარას“ გაიძახიან. ანკი რა ქნან? ცის ამარა დღე დგანან ფეხზე და ჰკენკავენ და ჰკენკავენ ტყვის ასოებსა! *) მოსვენება აღარ უნდათ?

ი. მარჯანიძე.

## რუსეთის ცხოვრება.

გასული კვირის №-ში ჩვენ გვქონდა მოყვანილი ცნობები ოდესის საპყრობილეში მომხდარ არეულობის შესახებ. ამისავე შესახებ „ოდესის გრად. უწყებანი“ შემდეგს სწერს: „ორ იანვარს, შუადღის პირველ საათზე, ოდესის საპყრობილეში, რიცხვით ექვსასმა კაცმა, რომელნიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი, ამბოხება მოახდინეს. ამბოხება, ეტყობოდა, წინდაწინვე იყო განზრახული და მოფიქრებული. ჩაამტვრიეს ოთახების კარები, დალეწეს და გადმოყარეს ავეჯეულობა, ჩაამტვრიეს ფანჯრების მინები, განთავისუფლეს სხვა ოთახებში დამწყვდეულნი უკვე თავისუფალმა და სახელოსნოში მომუშავე ტუსაღებმა. გადმოყარეს საგებ-სახურავები, და რკინის ლოგინები (კროვატები) და ოთახში შესავალი ისე რიგათ ჩაჩხერეს, რომ შეუძლებელი იყო შიგნით შესვლა. რადგანაც საპყრობილის ადმინისტრაცია ბევრს ეცადა რჩევა-დარიგებით მოესპო არეულობა, მაგრამ ვერას გახდა, ამიტომ იძულებული შეიქნა იარაღისთვის მიემართა. საპყრობილის დარაჯებმა რამდენჯერმე გაისროლეს რევოლვერები და ორი ტუსაღი დასჭრეს. ერთი მათგანი—დერეში, რომელიც არა ერთხელ მჯდარა ციხეში ქურდობისათვის, იმ დამესვე გარდაიცვალა, მეორეს კი—ბერმანს მარცხენა ხელის თითი აქვს ოდნავ ნატკენი. ვინაიდგან ამბოხება თანდათან სასტიკ და საშიშ ხასიათს ღებულობდა, ციხის უფროსი იძულებული შეიქნა ციხის კარები მაგრათ ჩაეკეტა და დარაჯებიანა ერთათ საპყრობილეს მოშორებოდა. ამ დროს ციხეში მოვიდა ოდესის გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელმაც ჯარი დაიბარა და მისი საშვალებით წესიერება აღადგინა. ღამე სიწყნარე არავის დაურღვევია. ხოლო მეორე დღეს, 3 იანვარს, დილის 6 საათზე, ქალების განყოფილებები, რომელიც მამაკაცების განყოფილებას და საზოგადოთ ციხის მთავარ შენობას მოშორებულია, ამგვარივე ხასიათის არეულობა მოხდა. ვინაიდგან ციხის უფროსმა დარაჯების საშვალებით ვერას გააწყო-რა, ჯარი მოიწვია. მეამბოხე ქალთ, რომელთა რიცხვი ასზე მეტია, ჯარმა ორჯერ ესროლა თოფი. მოკლეს ტუსაღი ქალი სივაკოვა. ამის შემდეგ ამბოხება მოისპო და ციხის წესრიგი არაფრით აღარ დარღვეულა.

— სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა გალიჩის—კოსტრომის გუბერნიის—სამაზრო კომიტეტში ერთ წევრს „პატრიოტ“ პოლოზოვს, ასეთი პროექტი შეუტანია: გალიჩის მაზრაში ძალიან გაშირდა ამ ბოლო დროს მუშა ხალხის გასვლა სხვა ადგილებში სამუშაოთ, რის გამოც დიდ გაჭირვებაში ცვივდებიან ზაფხულობით.

*) ...თუმცა ჩინჩხვები კი მუდამ ცარიელი გვაქვ.
ასოთამწყობი.

მიწათ მფლობელები მუშა ხელის სიმცირის გამო. ამიტომ კარგი იქნება მიწათმფლობელთ ნება მიეცეთ რუსეთში მოიყვანონ ჩინელები, რომლებიც საქმის მოყვარენი არიანო. ამ რიგათ მიწათ-მფლობელნი თავისუფლათ ამოისუნთქავენ და მუშებისაგან აღარ იქნებიან დამოკიდებულნი; მუშა ხელი გაიაფდება და თვით მიწის წარმოებაც გაიზრდებაო. კომიტეტს დიდის თანაგრძნობით მიუღია ეს პროექტი და დაუდგენია: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ნება დართოს მიწათმფლობელთ ადგილობრივ მუშა ხალხის შესავიწროებლათ ჩინელები მოიყვანონ. ამგვარი ფაქტი განმარტებას აღარ საჭიროებს!..

— „რიგის უწყ". შემდეგი საყურადღებო ამბავია მოთხრობილი. რეველის მაზრის მემამულემ, ბარონმა ბ.—ი ზიდან შენიშნა მცირეწლოვანი გლეხის ბიჭი, რომელიც თავის მამულზე იდგა თოფით ხელში. ბარონი მეტათ გაბრაზდა. როგორ ბედავს გლეხის შვილი ნადირობას მაშინ, როდესაც ამგვარი გართობის უფლება მხოლოთ თავად-აზნაურობის კუთვნილებას შეადგენსო და გაგზავნა თავისი „ქუჩერი" თოფის წასართმევათ. თავხედი ბიჭი არ ანებებდა თავის საკუთრებას. ამან უფრო გააცეცხლა მისი ბრწყინვალება და ეხლა თვითონ წავიდა ურჩის დასასჯელათ. მაგრამ, სანამ ის იქ მივიდოდა, საბრალო გლეხის ბიჭმა მიატოვა ქუჩერს თოფი და მოკურცხლა. ამ გარემოებამ მთლათ გააგიჟა ბარონი; ბრაზმორეულმა აძრო რევოლვერი და ხუთჯერ ზედიზედ ესროლა გაქცეულს. ბავშვს სამი ტყვია მოხვდა, მაგრამ მსუბუქათაა დაჭრილი. ბიჭის მამას და ბარონს საქმე შერიგებით გაუთავებიათ.

— ,,სარატოვის დღიურს'' შემდეგი საინტერესო ცნობები მოჰყავს რუსეთის დროგამოშვებითი გამოცემების შესახებ, ცნობები 1891 წ. შეეხება,—მაგრამ ამ 10—12 წლის განმავლობაში გაზეთის სიტყვით პერიოდულ გამოცემების რიცხვს 1891 წელთან შედარებით ბევრი არ მოუმატია. ამ დროს განმავლობაში უფრო წიგნების გამოცემა ვრცელდებოდა.

,,ამნაირათ, 1891 წ. რუსეთში, რუსულ ენაზე გამოდიოდა 70 დღიური გაზეთი. კვირეული და თვიური გამოცემები იყო 226. უცხო ენებზე სულ 589 გამოცემა იყო. ყველაზე უფრო გავრცელებულია დღიურ გაზეთებში ,,პეტერბურგ. გაზ.'', რომელიც 30,000 იბეჭდება. ,,რუსსკია ვედომ.''—25,000. ,,ნოვოე ვრემია''—25,000. კვირეულ გაზეთებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ,,ნივა'', რომელსაც 1891 წელს 100,000 მეტი ხელის მომწერი ყავდა.

რომ უკეთესი წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა ზემო მოყვანილ ციფრებზე, აქავე მოვიყვანთ ცნობებს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემების შესახებ. იქაც, როგორც რუსეთში, ამ ხანათ შესრულდა 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც დროგამოშვებითი გამოცემები არსებობს. XX საუკუნის დამდეგისათვის ამერიკაში 18,226 ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა და 7,007 წიგნების გამომცემელი ამხანაგობები იყო, რომლებიც წლის განმავლობაში 700 მილიონათ ღირებულ ნაწარმოებს სცემდენ. ამ სახალხო წარმოებაში თვიურათ მსახურებდა 38,000 კაცი, რომლებიც 72 მილიონ მანეთს ღებულობდენ ჯამაგირათ. დღიური ქირით მუშაობდა 168,000 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში 170 მილიონ მანეთს ღებულობდენ სამუშაო ხელ-ფასსათ. საზოგადო რიცხვი დროგამოშვებით გამოცემებისა გაიზარდა 18,226-დე (1890 წ. იყო 14,901). განცხადებებიდან გაზეთ-ჟურნალების შემოსავალით 1900 წ. 190 მილიონი მანეთი (1890 წ.—142 მილიონი,) ხელის მოწერიდან და გაყიდვიდან შემოსულა 158 მილიონი (1890 წ., 144 მილიონი). 18,226 რიცხვიდან დღიური გაზეთი იყო 2226 (რუსეთში 70), სამჯერ კვირაში გამოდიოდა 62 გამოცემა, ორჯერ—637, ერთჯერ—12,979, თვეში ერთჯერ 1817 და სხვა...

— მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ ჟამათ მოსკოვში სოფლის მასწავლებელთა კრება არის. 5 იანვარს კრებას, სხვათაშორის, შემდეგი კითხვები უნდა განეხილა: 1) აიკრძალოს როზგით დასჯა მათი, ვისაც პირველდაწყებითი სასოფლო სკოლა აქვს დამთავრებული. 2) მასწავლებლების დათხოვა სამსახურისაგან სუდის წესით უნდა ხდებოდეს; არ არის სასურველი, მასწავლებლებს გარდა პედაგოგიური მოთხოვნილებისა ევალებოდეს კიდევ მოსწავლეებს თვალ-ყური ადევნონ კეთილ-საიმედობის მხრივ; დირექტორი, ინსპექტორი და მასწავლებლები მხოლოთ ზნეობრივი საშუალებით უნდა მოქმედებდენ მოსწავლეებზე და არა დასჯით და ცემა-ტყებით და სხვა.. გ. კ. მაზინგამ, რომელიც განაგებს კრებებს, განაცხადა, რომ ზემოხსენებული კითხვების განხილვა მხოლოდ დიდის გამოკლებით შეიძლებაო. თავმჯდომარის ასეთმა განცხადებამ დიდი ალიაქოთი და მეტისმეტი აურ-ზაური გამოიწვია. ყველა მასწავლებლები გარეთ გამოვიდნენ. დარბაზში ერთი კაცის ჭაჭანებაც აღარ იყო კრებაც დროებით შესწყდა.

— პეტერბურგში სატეხნიკო საზოგადოება ქალთათვის საამშენებლო კურსებს აარსებს. კურსებზე ასწავლიან ტიპოგრაფიის ხელოვნებას სურათმოძღვრებას, საამშენებლო საქმეს და სხვა... სწავლა ორ წელიწადს გაგრძელდება. მიიღებენ საშვალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს.

— კერძო და სახელმწიფო რკინის გზების უფროსთა კრებაზე აღძრული იქნება კითხვა დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობის და მათთვის სადგომების აშენების შესახებ.

— ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ ანდიჟანში მიწის ძვრის გამო დახოცილა 49,485, დაჭრილა 18,000. მარგელანში დახოცილა 229 სული.

---

## საზღვარ-გარეთ.

**გერმანია.** გეხსომებათ, ამას წინათ, ვილჰელმ II ესსენში გახრწნილი მილიონერის კრუპპის (რომლის სიკვდილიც ასე ძლიერ ეწყინა იმპერატორს და სოციალ-დემოკრატების გაზეთს «Vorwärts» დააბრალა—კრუპპის ცხოვრებიდან ტყუილი ფაქტები გამოამჟღავნაო). მუშებს ურჩია—მოსპეთ ყოველივე კავშირი დემოკრატებთან, ვინაიდან ისინი მტრებია ჩემიც და ხალხისაცაო. ესევე გაიმეორა მან ბრესლავლის ,,რეიხში'', როცა მას წარუდგა მუშების დეპუტაცია უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოსაცხადებლათ.

,, დიდი ხანია—ამბობს მეფე თავის ,,რეიხში''—თქვენ და თქვენი მოძმე გერმანიის მუშები გაიტაცა სოციალისტების აგიტაციამ, ვითომც უიმათოთ თქვენ არავინ არაფრათ ჩაგაგდებთ და ვერ მოიპოვებთ იმ პირობებს, რომლებიც საშვალებას გაძლევდეთ ხმა-მაღლა მოითხოვოთ თქვენი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება და მდგომარეობის გაუმჯობესობა. ეს შეუწყნარებელი სიცრუე და სასტიკი შეცდომაა. მის მაგიერათ, რომ ობიექტიურათ დაეცვათ თქვენი ინტერესები, ეს ვაჟბატონები გაღელვებდენ და გამხედრებდენ თქვენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, წინააღმდეგ თავად-აზნაურობისა, ტახტისა და ეკლესიისა. ისინი თქვენ შეუბრალებლათ გყვლეფავდენ, გტანჯავდნენ და გიმონავებდენ რომ თვით გაძლიერებულიყვნენ. მერე რაში მოიხმარეს ეს ძლიერება? არა თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, არამედ იმიტომ, რომ კლასთა შორის მტრობა ჩამოეგდოთ, გაევრცელებიათ ათასნაირი ჭორები და დაბოლოს შეებღალეს თვით ჩვენი—გერმანელების პატიოსნება და კეთილი სახელი! ამნაირ პირებთან თქვენ არ შეგეფერით და არც უნდა იქონიოთ რაიმე კავშირი, არ უნდა აძლევდეთ მათ ნებას, რომ ისინი თქვენი ხელ-მძღვანელნი იყვნენ. არა! გამოგვიგზავნეთ სახალხო საკრებულოში მეგობრები და ამხანაგები თქვენი წრიდან, უბრალო მუშა-ხელოსნები, რომლებსაც თქვენ უფრო ენდობით, რომელნიც თქვენი ინტერესებისა და სურვილების დამცველია და ჩვენ მათ მივეგებებით, როგორც გერმანიის მუშათა წოდების წარმომადგენელთ და არა როგორც სოციალ-დემოკრატთ,

რამდენიც უნდა იყოს ამგვარი წარმომადგენელი მუშა ხალხის, ჩვენ მათთან ერთად დიდის სიამოვნებით ვიმუშავებთ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ. ისინი თქვენ მომავალზე კარგათ იზრუნებენ, ეს მით უმეტეს, რომ თქვენი წარმომადგენლები მტკიცე ერთგულებით მოეპყრობიან მეფეს, პატივს სცემენ კანონებსა და მთავრობას და საამაყოთ მათ გამომხატველ ოსნამომმეთა ისინი არ უღალატებენ დევიზს: „გეშინოდეს ღვთისა, გიყვარდეს შენი მოძმენი და პატივი ეცი მეფესა შენსა!".

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.** გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა მინისტრმა ეს-ეს არის შემოსავლის დაგვარი (ПОДОХОДНЫЙ) გადასახადის პროექტის შემუშავება გაათავა.

საფრანგეთის მთა-მადნის მუშების ნაციონალური ფედერაციის სეკრეტარმა ყველა მუშების სინდიკატებს მიმართა მოწოდებით, რომელშიდაც აუწყებს, რომ ფედერაციამ გადასწყვიტა დაარსოს „მუშათა ნახშირის მაღარო" (рабочія угольныя копи) ბუქსორში. ფედერაცია წინადადებას აძლევს ყველა პროფესიონალურ კოოპერატიულ მუშების ორგანიზაცია მიიღოს მონაწილეობა ამ საქმის განხორციელებაში, დანიშნოს თავიანთი მხრით ცხრა დამფუძნებელი წევრი და ბუქსორის მაღაროების შესაძენათ, რომელნიც 250 ათას ფრანკათ ღირს, ხელის-მოწერა გამართოს.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.** ამას წინათ ლორდ როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ინგლისის სამხედრო წესები უსათუოთ უნდა შეიცვალოს, თორემ მომავალში შეიძლება კიდევ დიდი სირცხვილი გჭამოთო; ეს საქმე უნდა მიენდოს იმისთანა „გერკულესს", როგორიცაა ლორდი კიტჩენერიო; უნდა ვეშურჩეთ, თორემ მაგისთანა გენიოსი კაცები ყოველთვის როდი გვეყოლებაო. როზბერის სიტყვის შესახებ ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუს"-ი წერს:

„ლორდ როზბერი მეტათ საინტერესო კაცია, იქნება ნამეტანი საინტერესოც იყოს. ყველას არ შეუძლიან როზბერივით ჰგედუცათ ითამაშოს, მაგრამ იმ უნარის გარდა, რომ ყველას თავი მოაწონოს, სახელმწიფო კაცს სხვა უნარიც უნდა ჰქონდეს. მართალია, ეს ძლიერ საამოვნო უნარია, როგორც ორატორისთვის, ისე მსმენელებისათვის, მაგრამ მაინც ეს არა კმარა... ლორდ როზბერი ახიარებულ რჩევას იძლევა, სამხედრო მინისტრათ ლორდი კიტჩენერი დავნიშნოთო და დიქტატორის განსაკუთრებული უფლებით შევმოსოთო; ლორდი უმატებს. „ყველა ბებერი დედაკაცები, ჩემის აზრის წინააღმდეგნი არიანო". რამდენათაც ვიცით, ვისაც კი ცოტაოდნათ მაინც ესმის, რა არის კონსტიტუცია—ყველანი წინააღმდეგნი არიან ამნაირი აზრისა".

## ჩემს ოთახს.

შეძლება მქონდა, ჩემზედ ხელ-მოკლეთ
გავუნაწილე, ყველას შევსწირე,
თვით გავღარიბდი და სიღარიბე
არვის შევსჩივლე, არვის შევსტირე
და შენ მოგმართე, ჩემო ოთახო,
ჩემებრ ყოველ მხრით შემოძარცულსა...
მითხარ, მიამბე, რის მომსწრე ხარ შენ
და მცირე შვება მოეც ჩემს გულსა.

—

ვინ იცის რამდენს შენთ კედელთ შორის
მოსტაცეს მისი უმანკოება,
რამდენი მოჰკლა შიმშილ-წყურვილმა,
რამდენს ეცვალა გარემოება.
ნეტავ რამდენმა დაგნამა ცრემლით,
შავი ფიქრები შენს კედლებს სტყორცნა;
ნეტავ რამდენი გულს, ვით თაიგულს,
გადაეხვია და გადაჰკოცნა!..

—

ხომ გესმის რა რიგ მძაფრი გრიგალი,
უბერავს შენთა კედელთა გარე...
მეც გულ-დაწყვეტით შვსცქერ ცის კამარას
და შავად მოსჩანს მთლად არე-მარე...
ბედნიერება სად არის, სადა?...
აღარ ვახსოვარ, არც თვით ვეძებ მას,
მრწამს განთიადი, ვეტრფი, ვუგალობ
და ხალხთ გადავცემ ჩემს წრფელ გულის თქმას.

—

ჩემო ოთახო, როდესაც მოვკვდე,
ველარ მხედავდე შენს მეგობარსა,
მცირე რასმეს გთხოვ და იმედია,
რომ შემისრულებ ამ სათხოვარსა—
ჰკითხე, მათვინაც ჩემსა საფლავზე
იგლოვ-იტირეს, ცრემლები ღვარეს:
ერთხელ შობილი, რავდენჯერ მომკლეს,
რავდენჯერ დამფლეს ცოცხლივ სამარეს!..

ბ. ახოს-პირელი.

# ჩ Ა Ი Ზ Ე...

[დასასრული. იხ. № 3.]

— არა მაინც, არა მაინც, ცხარობდა სტუმარი,—ეს ისეთი საზოგადო კითხვაა, რომ გარკვევა უნდა. ხომ მოგახსენე რიგიან აღზრდას რიგიანი საფუძველი უნდა-მეთქი, ე. ი. ზნეობრივი კანვაა საჭირო, თუ შეიძლება ასე ითქვას. შენი ქარხნის პატრონზე კი, შენ რაი გეწყინება და, ამბობენ, დიდი გარყვნილი ოჯახის პატრონიაო და რა გამიკვირდება, როცა... ჰა, ჰა, ჰა! უგულოთ ჩაიცინა სტუმარმა,—რა გამიკვირდება, როცა ბავში ყოველ დღე უზნეობას ხედავს დედ-მამისაგან, რომ თვითონაც არ...ში...ყობა დაიწყოს, ბოლო სიტყვები ძლივს გასაგონად წარმოსთქვა სტუმარმა და მორიდებულად თვალები აქეთ—იქით დაატრიალა, თითქო ეშინიან, დიასახლისმა უშვერი სიტყვა არ გაიგონოს, პატარაობითვე მაღალ ზნეობიან საფუძველზე აღზრდილ განათლებულ კაცისაგანაო. ტყუილად შეეშინდა! დიასახლისი ოთახში არ იყო.—სრული ჭეშმარიტებაა, ხალისიანად განაგრძო სტუმარმა,—მართალია რაც ნათქვამია: ეკლის ადგილს ეკალი ამოვაო... და... მაშ ასე, ამ შობას აქ არ იქნები?.. жаль, жаль, მწყენია, როგორც კაცი, ძლიერ შეგეთვისე, ერთი კაცი ძლივს გიპოვე, ვისთანაც ამ აუტანელ შრომის შემდეგ ცოტა გულს გადავაყოლებ ხოლმე...

... ეხ! რომ იცოდე, მეც რამდენი ჯაფა მაწევს თავზე. დამერწმუნე მრთელი კანცელარია კისერზე მაწევს. ყოლისფერზე თუ შენი ხელი არ მიკიდა... მართლა დაგვავიწყდა! ბანქო? არ ვითამაშოთ? ლაპარაკს გადავყევით.

— როგორც გნებოთ, მე წინააღმდეგი არა ვარ.

— მაშ კარგი, აბა ვნახოთ რომელი საათია! ორთავემ საათს დახედეს!

— ოჰო! წამოიძახა სტუმარმა,—უკვე ოთხი საათი ყოფილა!

— ჩემსაში კი შვიდი წუთი აკლია, ზარბაზანთან შევასწორე დღეს.

— და წარმოიდგინე თითქმის ბნელა, რა ჩქარა ღამდება ამ დეკემბერში.

— ბნელა, ბნელა, მრავალ-მნიშვნელოვანათ გაიმეორა სტუმარმა.—მე კი ხუთ საათზე გოლოვინის პროსპექტზე უნდა ავიარო. ერთი ნაფიცი ვექილი უნდა ვნახო „ექსტრენი" საქმე მაქვს. ერთი ნახევარი საათი მაინც წავითამაშოთ...

— მაშ კარგი...

და ორთავენი სათამაშოთ მაგიდას მოუსხდენ.

— ოხ! შენ ხვალ არ მიდიოდე, ეშმაკს წაუღია მანქანაც და ჩანქანაც, ამოიოხრა სტუმარმა —თქვენ დაარიგებთ?

— ვისაც ნაკლები მოუვიდეს.

— მაშ კარგი. სტუმარმა ორი თითით ნაზათ აიღო რამდენიმე ბანქოს ფურცელი.—ეხ! ექვსიანი შემხვდა.

— მე კიდევ ქალი...

— ქალებზე ბედი გექნება! ჰმ! ენა წაიკვნიტა სტუმარმა და ფრთხილათ კისერი მხრებში ჩაიძვრინა, თითქო ეშინია დიასახლისს არ გაეგონაო.

— ერთი ლამპა, გენაცვალე, ანეტაჯან, დაიძახა ქმარმა.

— ეხლავე, გენაცვალე, სანთელსაც მოგიტან.

-- ბანქოს თამაშობას შეუდგენ.

— ო!.. ჩემო სულიკო, ეს ჭკუიანათ ქენი, სანთელიც რომ მოგვიტანე. ეხლა სრულ სინათლეზე ვილაღადებთ რაღა... შობას კი შენ მარტო ილაღადებ არა, გეთაყვა? ჩავშური კილოთი დაეკითხა ქმარი.

— უი, არ მინდა, არა, აბუზღუნდა ცოლი.—აქ დარჩი... არა... მერე ნაშობევს წადი... და ქმარს მხარზე დაეყრდნო.

— კი, გენაცვალე, ჩქარა ჩამოვალ, მიეალერსა ქმარი, ხელი დაუჭირა და ფუნთრუშა და ჩროლივით თეთრ ხელის ზურგზე აკოცა...

— ო... შენი ჭირიმე... ნახევარი ხმით ბუტბუტებდა სტუმარი და რომ არ გადაეხარხარა, ტუჩებს იკვნეტდა და გულმოდგინეთ ბანქოს ჩასჩერებოდა...—ო... მომითმინე შენი ჭირიმე, ეს კოზირი, კარგი, მაგრამ ჰო, სულ ერთია; არა, არა, რატომ? კოზირი ხელიდან არ უნდა გაუშვა... (არც ერთი კოზირი არ მოეძევებოდა)... არა, არა, ეს... მაგრამ სულ ერთია...

— აბა მოდი, მოდი რაღა, ეუბნებოდა კმაყოფილი მოპირდაპირე. ეტყობოდა ქარხნის პატრონისაგან ხელ-ცარიელი არ დაბრუნებულიყო. ჯიბეში ფული, გვერდით ლამაზი ცოლი, ოხ, ნეტარებავ!!—მოდი, მოდი, ნუ ძუნწობ კოზირებზე.. თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა და რიგიანათ შევასრულე მონდობილობა, მაშინ ნახე და... ეჰე! სამი ერთათ მოხვედი? კოზირიც მოსულიყავი, არ შეგიშინდებოდი... არ მოგიკვდეს იმის მეტი ვასილი ვასილიჩი, ეს ამას, ეს ამას...

ბანქო ორმოც წუთამდე ითამაშეს...

სტუმარი ვითომდა გულმოდგინეთ თამაშობდა—სულ რაღაცებს სთვლიდა, ანგარიშობდა, ბუტბუტებდა ბჭობდა... ადრე სჯიდა რა და რა ჩამოსულიყო... მოსული ქაღალდები როგორ გაეჭრა... ნამდვილათ კი ბანქოზე სრულებით აღარ ფიქრობდა. მას დღეს გამოვლილი წამები ედვა თვალწინ და იმაზე ფიქრობდა. ფიქრობდა ახალგაზდა დიასახლისზე, რომელიც ამას წინათ გულში ჩახუტებული ყავდა და იგივე ქალი ამ რამოდენიმე წამის წინათ ქმრის მხარზე ეყრდნო და იმას ეალერსებოდა. წარმოიდგინა თავისი თავიც ცოლთან ალერსის დროს.—ოი დასწყევლა ეშმაკმა, ფიქრობდა გულში.—რა არის კაცი, რა პირმოთნე არსებაა?! პირუტყვიაო, იტყვიან. პირუტყვი ხომ პირმოთნეთ არ იქცევა, ოი, ოი, ოი, რამდენი სიყალბე იმალება ამ კურთხეულ ქვეყანაზე?!.. დღეს მაინც რა მორალში გავები, რა ზნეობის ქადაგება დამჩემდა, საკვირველებაა... რა ანგელოზათ დავსახე ჩემი თავი, მაშოს ან სოფიოს გაეგონათ დღევანდელი ჩემი ქადაგება, წარმომიდგენია, რას იტყოდენ... ხა, ხა, ნუ? პედაგოგობაც რომ დავიწყე, ფუი; ეშმაკს! სად გაგაძვრენს გრძნობა? პედაგოგობა? რაც სიყრმიდგანვე მძულდა. რას მივედმოვედებოდი, შენი ჭირიმე! ქალ-ვაჟის ერთათ აღზრდა მეთქი: ჰმ! ეს მაინც რა ეშმაკმა გამახსენა, ან რა მაღალ ზნეობის კაცათ დავსახე ჩემი თავი? აი, აი, чортъ его побери! თორმეტის წლისა ვიყავი, ვერის ხიდთან გოგო რომ გავიცანი... ე... რა ყალბია ცხოვრება? მაგრამ ისე არ მოუქცეულიყავი, არ ვარგოდა, საქმე უამისოთ არ [illegible] მაინც, არ მოველოდი დღეს ამ ზომამდი... მოვედი რაღა, ისე, დაწყებული საქმის გასაგრძელებლათ. ანკესი რომ ცოტა ქე მოხვდა, ვიცოდი, მაგრამ ასე ჩქარა... ო! ღმერთო, ამრავლე ქარხნები და მათი კონკურენცია, დიდათ ხელი შემიწყვეს!.. მაინც ქე გააჭირა საქმე, მაგრამ არა იმდენი, მე უფრო მეტ წინააღმდეგობას მოველოდი... მაინც იოლათ გამოვედი... გიმნაზიაში ყოფნის დროს გაზეპირებული ფრაზების მეტი არ დამჭირებია... მაინც გასჭრა .. ეხ, შვილო! გიცნობთ, რაცა ბრძანდებით, თუმცა ჩვენც არ ჩამოგივარდებით! რა კარგი სიტყვაა: ,,თავს მოვიკლავ, სიცოცხლე აღარ მინდა, ღამე აღარა მძინავსო‘‘. ელვასავით მოქმედებს რაღა, ტოკია, ტოკი, ელექტრონის ტოკი!! ღამე არა მძინავს—მეთქი და ისიც დარწმუნებულია. კი მეტყობა სახეზე უძილობა აი? ათ საათზე რომ გავგორდები, დილის რვა საათზე ზეიმით და ზარით მაღვიძებენ ხოლმე... შეხედე, ეხლავე იჭვიანობაც დამიწყო! რა ვუყო ამდენ ეჭვსა! სქელ სქელ-ქალს მიყობოდიო‘‘, ვა! მაშ უჩინჩაჩინის ქუდი დავიხურო?! მოიცა! ვის მივყვებოდი მაშინ?! ჰოი, დასწყევლა ეშმაკმა! იმ ქვრივთან რომ გამოვიარე! წარმოიდგინეთ ეს შიში მაშინაც ჩამესახა და აქეთკენ არ მინდოდა წამოვსულვიყავით და საყასბო დუქანთან შეუხვიე. ,,აქეთ უფრო ახლოა-მეთქი, მაგრამ გაუხმეს თავი, დაიჯინა: ,,აქეთ, აქეთო, დაუნახავარ წყეულს! ი... დალახვრა ღმერთმა‘‘...

ვასილი კი იგებდა და იგებდა, რაც თვითონაც აკვირვებდა, რადგან ბევრი ვერაფერი მოთამაშე ბრძანდებოდა...

მასპინძელმა ოთხი მანეთი და ექვსი შაური მოიგო. რაც სტუმარს მლიერ უხაროდა და თვითონაც რაც შეეძლო შველოდა. ამით ცოტათ ვითომ და სინიდისს იწმენდდა...

— ეხ! მაშინ მქონდა იმედი! გონებით სთქვა სტუმარმა... ეშმაკებს წაუღია შენი მანქანაც და მისი პატრონიც და მისი ქოსა მოსამსახურეც. ქოსა კაცმა გიფერხოს და გაიგო სადაურია?! ჩორთ, ჩორთ მათ საქმეს! მაგრამ დამაცა, ჯერ ერთი დაბრუნდი ბაქოდგან! მე შენ გიჩვენებ, დამაცა, თუ გაგიცარიელო ქისა...

— ხი, ხი, ხი, ხი, ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი და სიხარულისგან თვალებ აწყალებული სტუმარს მეჭყურებდა.

დარწმუნებული იყო, რომ მინდობილობას რიგიანად შეასრულებდა, ჯამაგირს მოუმატებდენ, გზის ფულებიც საკმაოთ ბლომათ მისცეს... ოჯახი რიგიანი, მხიარულობდა, მხიარულობდა მასპინძელი—ხი, ხი, ხი, მართალია იმ ქოსა კაცმა შეგიშალა ხელი, იმის მოსვლამდე, მართლა, შენ იგებდი, ხი, ხი, ხი,.....

—იმან, იმან, მაგას ორივე ფეხები მოსტყდეს, ჯავრობდა გრიგორი მიხეილიჩი.

— ხი, ხი, ხი, ხი, ხითხითებდა მასპინძელი.

სტუმარმა საათს დახედა, ეხ! ჩემო ძმაო, გადავყოლილვართ... ხუთ საათზედ მეტიცაა. მაინც რა ხანი დავრჩით დღეს თქვენთან. მხიარულ მუსაიფში დრო მირბის... ნ... და....ჩაამთქნარა რაღაცა და გაიზმორა—აა...ჩემი ცოდვა! მგონი ცოტა უქეიფოთაც ქე ვარ, ე...ამდენი საქმეები ვის არ გახდის ავათ... პურის საჭმელათ რიგიანათ არა მცალიან. აპა, პა, თუ ავად გავხდი შენი მტერი, ტა, ტა, ტა, ისევ გაიზმორა სტუმარმა და ჯიბაში ჩხრეკა დაიწყო..

— ეჰე! ეს სულ არ ვარგა, პაპიროსიც გამომლევია?

— მე მოგართმევთ, მიუგო მასპინძელმა.

— სულ ერთია, გავიარ და ვიყიდი!

— არა, რატომ, მე მაქვს, შენახული მაქვს, მიბრძანეთ ვის თამბაქოს უფრო ეწევით!

— სულ ერთია.

—არა მაინც!

— როგორც მომხთება "მირ„, „ბალეტ-პაიაც", სიმპატია!

— აი სწორედ მეც სიმპატია მაქვს. ეხლავე მოგართმევთ. მე თითო შაურობით ყიდვა არ მიყვარს, ყოველ შემთხვევისათვის მომზადებული მაქვს... გაილაპარაკა მასპინძელმა და საწოლი ოთახისკენ გაეშურა.

— სიმპატია, სიმპატია, გაიმეორა სტუმარმაც და იქვე მდგომ დიასახლისს შეაცქერდა, ტუჩები შეუთამაშა და შორეული კოცნა გაუგზავნა. ქალი აენთო და მღელვარე თვალებით გადმოხედა.

— ხვალ საღამოს, ექვს საათზედ მოვალ. მოსამსახურე გოგო კიდევ სადმე გაგზავნე, მესმის! საჩქაროდ წასჩურჩულა სტუმარმა, საქმიანი სახე მიიღო, და ზურგზედ ხელები მოიწყო და ოთახში გაიარა..

— აჰა, მრთელი კოლოფი, მე მიყვარს სიმპატია, მართლაც რაღაცა თავისებური გემო აქვს.

— ამით გინდა დამწვარი გული გამიმრთელო? ბოროტი ღიმილით უთხრა სტუმარმა და კოლოფი გამომართვა.

— ხი, ხი, ხი, ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი.

სტუმარი გამოეწყო! ჯერ ზრდილობიანად დიასახლისს ხელი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა, მურაბაც შეაქო: რაღაც განსაკუთრებული გემო მურაბაშიაც იპოვა, რაც დიასახლისის ხელოვნებას მიაწერა, მერე მასპინძელსაც ხელი მაგრა ჩამოართვა, საზოგადოთ თავი ორთავეს დაუკრა, როგორც წესია კულტურულ წრეში, და გასწია.

— კიბეზე სანთელი მიუნათე, ვასოჯან, დინჯად უთხრა ცოლმა.

— ჰო, მართლა, ეხლავე, დაფაცურდა ქმარი.

— ნუ სწუხდებით, ნუ სწუხდებით, ბნელაშიაც კატასავით ვხედავ, სხვა სთქვი, თორემ, ე! თუმცა ძლიერ მობზეკილი კიბე ქე ჰქონია ამ სახლს, ალბათ ძველი გაკეთებული იქნება. ნუ სწუხდებით, ბატონო!

— არა, რა შეწუხებაა...

— დიდათ გმადლობთ, დიდათ, კეთილი მგზავრობა! ამბობდა სტუმარი და კიბის საფეხურს თითო თითოთ ჩადიოდა და თან ხელთათმანებს იკეთებდა.

— მადლობელი ვარ, რომ გვნახეთ, მადლობელი, შემოივლიდეთ ხოლმე, გამიხარდება, მიაძახა მასპინძელმა.

— ჰო! გინდა, კიდევ ფულები მომიგო? დამაცა მე შენა, ერთხელ ბედი ჩემსკენაც გამოაჭყიტებს.

— ხი, ხი, ხი, ხი, ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი.

კოდრა პატრია.

---

# შ ა ვ ი ქ ვ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ თ ა

## V კრება ქუთაისში.

### წერილი მეორე.

ყოველდღიურ გაზეთების ანგარიშებიდან თქვენ უკვე გეცოდინებათ, თუ რა ზომამდის გამწვავდა შავიქვის მრეწველთა მეხუთე კრების სხდომები. უშვერ ლანძღვა-გინებას დღევანდელი საბჭოს მომხრეების მხრით და პირად კინკლაობას საზღვარი აღარ აქვს. მაგრამ საჭიროა დაესწროთ თვით კრებაზე, რომ შენიშნოთ ის დასაგმობი საქციელი, რომელსაც დასდგომია ერთი მხრით დღევანდელი კრების უმრავლესობა და საბჭოს თავმჯდომარე, ეს უმრავლესობა, რომელსაც ბ. ზდანოვიჩის ბრძანებით წინამძღვრობენ პირადი ანგარიშებით გატაცებული ვაჟბატონები, ვერ გრძნობს, თუ რა სამარცხვინო იარაღათაა იგი გადაქცეული იმათ ხელში. უმრავლესობა აყოლია სხვის ფეხის ხმას, და სრულებით არ სურს მოისმინოს მართალი სიტყვა, რომელსაც მას ზოგიერთები ეუბნებიან. იგი სიხარულით და ტაშის ცემით ეგებება ყველა იმ განცხადებებს, რომლების ერთათ-ერთი მიზანი სიმართლის დაფარვა და გადაფუჩეჩებაა. ასეთმა გარემოებამ არ შეიძლება არ მოახდინოს მეტათ სამწუხარო შთაბეჭდილება გარეშე მაყურებელზე. მე უკვე რამდენსამე სხდომას დავესწარი, და არ შემიძლია არ გამოვთქვა კერძოთ ჩემი მწუხარება არა მარტო ამ უმრავლესობის შეუგნებლობის და ნებითი თუ უნებლიეთ დაბრმავების გამო, არამედ იმიტომაც, რომ კრების თავმჯდომარეც, რომელიც პირუთვნელი ხელმძღვანელი უნდა იყოს კრების, უმრავლესობას ესარჩლება და მისი მონა-მორჩილი გამოდის. ეჭვი არ არის, რომ თუ უმრავლესობამ არ შესცვალა თავის ტაქტიკა. იგი მხოლოთ თავის თავს უღალატებს; მისი ინტერესები მოითხოვდა, რომ სიმართლის გაგება არ დაბრკოლებულიყო და იგი მოესმინათ, თუნდაც ეს სიმართლე ზოგიერთებისათვის არა სასიამოვნო და მწვავე ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს აღარ ხერხდება, დღევანდელი კრებისათვის ეს შეუძლებელი გამხდარა. აშკარაა მხოლოთ ის, რომ ასეთი გარემოება დაჩაგრავს არა მარტო კერძო მრეწველთა ინტერესებს, არამედ იგი შეაფერხებს მთელი ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის საქმეს. ამ შენიშვნის შემდეგ გადავიდეთ დღევანდელი საბჭოს მოქმედების განხილვაზე.

წინა წერილში საბჭოს მოქმედების ზოგიერთ მხარეების დასახასიათებლათ ჩვენ ვიხელმძღვანელეთ სარევიზიო კომისიის მოხსენებით. სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს მოხსენება თუმც საკმარისათ ვრცელია და იმავე დროს მრავალ შემაძრწუნებელ და აღმაშფოთებელ ფაქტებს შეიცავს საბჭოს მოღვაწეობის დასახასიათებლათ, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მას ბევრი რამ აკლია, და რაც არის, ის მხოლოთ ნედლი, დაუმუშავებელი მასალაა, ვინემ სისტემატიური და დამთავრებული შრომა. სარევიზიო კომისიის მოხსენება სრულებით არ ეხება საბჭოს მოქმედების მრავალ მხარეებს; იგი არჩევს და აფასებს მხოლოთ საბუხგალტერიო ნაწილს—ფულის ანგარიშს, საავათმყოფოს და მადნებში მისავალი გზების მდგომარეობას. ასე წარმოიდგინეთ, აბანოს გაკეთების საქმეს, რომელსაც თავის მოხსენების სიტყვით საბჭომ მთელი თავისი დრო მოანდომა და, რომელსაც დაახარჯა თითქმის ასიათას მანეთამდის, მოხსენება მხოლოთ გაკვრით იხსენიებს და აღნიშნავს, რომ ამის შესახებ დამთავრებული ანგარიში საბჭომ ვერ მოგვცა. და მართლაც ასეთი ანგარიში ჯერაც არ არსებობს, თუმცა აბანო, კარგია თუ ავი, უკვე დამთავრებულია. ამიტომ ჩვენ ვეცდებით აღვნიშნოთ აქ ის მხარეები და ის ფაქტები რომლებზედაც სარევიზიო კომისიას არ მიუქცევია ყურადღება, ან არ შეეძლო რომ მიექცია.

დავიწყოთ, მაგ., იქიდან, რომ საბჭოს თითქმის არც ერთი კითხვა, რომელიც კრების პროგრამაშია შეტანილი, წინდაწინ არ შეუსწავლია და არ გამოურკვევია. საზოგადოთ მიღებულია, რომ იმ საგნებს, რომლებიც საზოგადო კრებაზე უნდა გაირჩეს, საბჭო კრებამდის იხილავს და არკვევს, რასაც ორნაირი სარგებლობა მოაქვს: ერთი ისა, რომ კრებას საშუალება ეძლევა უფრო ნათლათ გაარჩიოს საგანი და მეორეც ის, რომ ამისთვის იგი კრებას ბევრ დროს აღარ უკარგავს. ჩვენ სახელოვან საბჭოს ეს მეტათ უცვნია. ავიღოთ, მაგ., ჭიათურაში სახელოსნო სკოლის დაარსების საკითხი, როცა თავმჯდომარე ამ კითხვის გარჩევას შეუდგა კრებაზე, ასე გვგონებოდათ, რომ თითქო მთელი

კრება დამუნჯდა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. არავინ არ იყო ამისათვის მომზადებული. ასე წარმოიდგინეთ, რომ საბჭოს განათლებულ ხელმძღვანელს, გ. ზდანოვიჩს, არც კი შერცხვა შემდეგი განცხადების წარმოთქმისათვის; საბჭოს ამ საგანზე არაფერი არა აქვს სათქმელიო, ე. ი. ეს საგანი მისთვის ისეთივე terra incognita-ა, როგორც სხვებისთვისო. ამიტომ ვთხოვთ სახალხო სკოლების დირექტორს ამის შესახებ რამე გვირჩიოსო. ბ. დირექტორმა, რომელიც ბ. ზდანოვიჩის ბედზე იქ იმყოფებოდა, თავის მხრით განაცხადა, რომ მას მხოლოთ თქმა შეუძლიან თუ ამა თუ იმ ტიპის სკოლა როგორ, რა პირობებით, გაიხსნება, მაგრამ მან სრულებით არ იცის, თუ რა ტიპის სკოლაა ჭიათურაში უფრო საჭირო,—ეს თქვენი საქმეაო,—დაუმატა ბ. დირექტორმა. და მართლაც საბჭოს პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენდა, წინდაწინ გამოეკვლია და გაეგო, თუ რა ტიპის სკოლაა საჭირო ჭიათურაში? ამისთვის მას უნდა შეესწავლა ჭიათურის და მის ახლომახლო მდებარე სოფლების ვითარება, გაეგო ადგილობრივი სახალხო სკოლების მდგომარეობა, თუ რამდენათ ამ მხრით ხალხის განათლება უზრუნველყოფილია და სხ., და ასეთ შესწავლაზე დაემყარებია თავისი შეხედულება და ასე მომზადებული წარმომდგარიყო კრების წინაშე. მაგრამ ამისთვის მას თავი არ შეუწუხებია, ვინაიდგან წინდაწინ იცოდა, რომ უამისოდაც ადვილათ გაიდოდა ფონს.

იგივე უნდა ითქვას მარგანეცის ყოველ გატანილ ფუთზე დაწესებულ $^1/_2$ კაპეიკის გადასახადის გადიდების თაობაზედაც. ეს კითხვა დღევანდელი კრების პროგრამაში შეტანილია თვით მთავრობის მიერ. ბ. ზდანოვიჩი ამ გადასახადის გადიდების მომხრეა და დიდი ხანია მეცადინეობს მის განხორციელებას (უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ეს თითქმის ერთად ერთი საგანია, რომელშიაც მას ჩვენ თანავუგრძნობთ); სამწუხაროთ არც ამ კითხვაზე შეუწუხებია მას თავი, და როცა თავმჯდომარემ ეს კითხვა წამოაყენა, მან ორიოდე ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა პროგრესზე და მოთხოვნილების გაფართოებაზე, ე. ი. ათასჯერ გადაღეჭილი აზრი, მაგრამ თვით საკითხის სასურველათ გადაწყვეტისათვის ვერავითარი გასამართლებელი საბუთი ვერ მოიყვანა. მაგრამ როცა ბ. ზდანოვიჩს მჭევრმეტყველურათ უპასუხეს, რომ დღეს, როცა მარგანეცის ფასი ამ ზომამდეა დაკლებული მსოფლიო ბაზარზე, ამ გადასახადის მომატებაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელიაო, მით უმეტეს, რომ შავი ქვის მრეწველები საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ გაცილებით უფრო მეტს იხდიან, ვინემ ბაქოს ნავთის მწარმოებელნი და სამხრეთრუსეთის მთამადნეულობის მრეწველები, მას, ე. ი. ბ. ზდანოვიჩს აღარაფერი აღარ ჰქონდა სათქმელი. ბ. ზდანოვიჩს, რომ ცოტა ემუშავა ამ საგნის გამოსარკვევათ, იგი ადვილათ დაუმტკიცებდა კრებას, თუმც საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ნავთის მრეწველნი და სამხრეთ რუსეთის მემადნენი ბევრათ უფრო ნაკლებს იხდიან, ვინემ შავი ქვის მრეწველები, მაგრამ იმავე დროს, ეს უკანასკნელნი, ე. ი. შავი ქვის მრეწველნი, ერთ გროშსაც არ ხარჯვენ იმ დაწესებულებათა სასარგებლოთ, რომლებსაც ინახავენ ნავთის მრეწველნი და სამხ. რუსეთის მემადნენი. იქ თითოეული მრეწველი მოვალეა იქონიოს თავის საკუთარ ხარჯზე მუშებისათვის შკოლა, აბანო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკვირაო შკოლა და კურსები, იყოლიოს აგრეთვე საკუთარი ექიმი და ფერშალი და ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე საავათმყოფოც; გარდა ამისა ისინი ვალდებული არიან დაზღონ მუშები უბედურ შემთხვევებისაგან თავისივე ხარჯით. ჩვენ არაფერს ვამბობთ აქ იმ ხარჯზე, რომელსაც ეწევიან დასახელებული მრეწველები მუშებისთვის ბინების ასაგებათ და გასაუმჯობესებლათ. არც ერთი ამგვარი ხარჯი შავი ქვის მრეწველებმა არ იციან, ასე რომ ყველა ამაებისაგან ისინი სრულებით თავისუფალი იყვენ და არიან, დღემდის, მაინც, ვინაიდგან ამ გვარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ [illegible] მხოლოთ ერთად ერთი წყარო—ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი ფუთზე. და თუ ყოველსავე ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გამოვა რომ ჩვენი მრეწველები ბევრათ უფრო ნაკლებს იხდიან საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. ბ. ზდანოვიჩი ამოდენი ხანია ახლო იცნობს როგორც შავი-ქვის მრეწველებს, ისე ნავთის და სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობის საქმეს, და ეს გარემოება მისთვის შეუმჩნეველი დარჩენილა. ალბათ მას ამისთვის არ ცხელა.

მაგრამ შეიძლება თქვენ იკითხოთ: მართალია, საბჭო სრულებით მოუმზადებელი გამოდის კრებაზე, მაგრამ უეჭველია იგი სხვაში გამოიჩენდა მოღვაწეობის უნარს ამ—$2^1/_2$ წლის განმავლობაში, ალბათ იგი სხვა რამეში ისახელებდა თავს. მაშ სად არის მისი მოღვაწეობის კვალი? სადაა მისი მოქმედების ნაყოფი? ჩვენ წინ გვიდევს „მესამე კრებაზე ამორჩეული საბჭოს მოქმედების ანგარიში“, რომელშიაც ჩვენ ბევრი ვეძიეთ ამ კითხვების პასუხი და შემდეგ გულ-დასმით გადაკითხვისა იმ დასკვნამდის მივედით, რომ საბჭოს არსებითად არაფერი არ გაუკეთებია, გარდა ჩხირ-კედელობისა, ე. ი. რამდენიმე უნაყოფო შუამდგომლობათა დაწერის გარდა. თითქმის ყველა ამ შუამდგომლობათ უნაყოფოთ ჩაუვლია, რადგანაც ისინი ან არ ყოფილა დასაბუთებული, როგორც ჯერ არს; ან და შუამდგომლობა დაუწყიათ და უწარმოებიათ იმ გზით, რომლითაც იმათი სასურველათ დაბოლოვება არ მოხერხდებოდა. უჩვენოთ მაგალითისთვის ერთ ამ გვარ შუამდგომლობაზე. მესამე კრების დადგენილების თანახმათ საბჭოს უნდა ეშუამდგომლა სადაც ჯერ არს ჭიათურის „პასადათ“ გადაკეთებისა და აქ შემოკლებული თვითმართველობის შემოღების თაობაზე. მართალია, საბჭომ ამის შესახებ გამართა მიწერ-მოწერა და რამდენიმე შუამდგომლობაც დაწერა, მაგრამ ყოველივე ამან სრულებით უნაყოფოთ ჩაიარა. რისთვის? იმიტომ, რომ ამ მიწერ-მოწერის და შუამდგომლობათა წერის დროს მას ის კი არ ჰქონებია მხედველობაში, რომ საქმე გაკეთებულიყო, არამედ ის, რომ ფორმა შეესრულებიათ, ე. ი. შეასრულა კიდევაც, რამდენიმე უთავბოლო შუამდგომლობის დაწერით. ახლა, როგორც კრებაზე გამოირკვა ეს თურმე სრულიად მარტივი, უბრალო საქმე ყოფილა: ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მხოლოთ, რომ საგუბერნიო გამგეობამ ჭიათურა იცნას როგორც ახალი დასახლებული ადგილი (აქამდის მას არ იცნობენ ასეთ ადგილათ); შემდეგ ამისა შესაფერი განაჩენი უნდა იქნას დადგენილი ჭიათურის მცხოვრებლების მიერ სათანადო მთავრობის წინაშე წარსადგენათ. ჩვენ სწორეთ შეგვრცხვა ბ. ზდანოვიჩის მაგიერათ, როცა ეს უბრალო ამბავი მოვისმინეთ კრებაზე. საკვირველია, რომ საბჭომ, რომელმაც ამის თაობაზე ამოდენი ქაღალდი და მელანი დახარჯა, ეს უბრალო ამბავი ვერ შეიტყო!

პირველ წერილიში ჩვენ აღვნიშნეთ სხვათა შორის ის გარემოება, თუ როგორ თანაგრძნობით მოეკიდა საბჭო მესამე კრების მიერ დადგენილებას სტიპენდიების თაობაზე; ახლა ამას დავუმატებთ კიდევ სხვა მარგალიტებს მისი „განმანათლებელი“ მოღვაწეობიდან. მესამე კრებამ საბჭოს სხვათა შორის მიანდო: „შუამდგომლობანი იქნას აღძრული, რომ მუშებისათვის დაარსებულ იქნას: ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სახალხო თეატრი, საკვირაო სკოლა, იაფფასიანი სასადილოები, ადვილათ გასაგები ლექციები და კითხვები და თუ ვინიცობაა ესენი ნებადართულ იქნა, აღმოუჩინონ იმათ მრე

წველთა საშუალებიდან შესაფერი ნივთიერი დახმარება“ (იხ. „ანგარიში“, გვ. 2). როგორ შეასრულა ყოველივე ეს საბჭომ? საბჭოს მოქმედება ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ახასიათებს მას თავიდან ფეხებამდე, იმ საბჭოს, რომელიც მხოლოთ ფორმალურათ უყურებს თავის მოვალეობას. აი რას ვკითხულობთ საბჭოს „ანგარიშში“ ამის თაობაზე: „ყველა ამისთვის კრების მიერ გადადებული 2,000 მანეთი ძლიერ ცოტაა“ (იხ. „ანგ.“, გვ. 39),—თითქო ამით მას წინდაწინ სურს გაამართლოს თავისი სრული უმოქმედობა და უზრუნველობა, და თითქო კრების მიერ ნაჩვენები საზღვარი, როცა მას სურდა, არა ერთხელ გადაეჯკენოს, თითქო კრების გადაწყვეტილება მას არაოდეს არ დაერღვიოს. შემდეგ „ანგარიშიდან“ ვგებულობთ, რომ საკვირაო სკოლა გაუხსნიათ მხოლოთ 1901 წლის დამლევს. სად იყო აქამდის საბჭო, რას აკეთებდა, ან რამ შეუშალა მას ხელი, რომ თითქმის წლინახევრის შემდეგ გაახსენდა ეს მეტათ სასარგებლო საქმე? არ შეგვიძლია ვიკითხოთ, თუ რისთვის არის მოწვეული საბჭო თუ არა კრების დადგენილებათა და მინდობილებათა სისრულეში მოსაყვანათ? ეს არაფერი.—იმავე 1901 წლის დამლევს (ე. ი. ოქტომბერში) საბჭოს დაუდგენია (რა საჭირო იყო დადგინება, როცა ეს კრებისაგან იყო გადაწყვეტილი?—ეს ჩვენ არ ვიცით) მოეწყოს ჭიათურაში ჰიგიენაზე და მედიცინაზე *) ლექციების გამართვის საქმე. ამისთვის მას შეუძენია კიდევაც ზოგიერთი საჭირო ნივთი. თვით კითხვების მოწყობა და ხელმძღვანელობა ჩაუბარებია ექ. მ. ჯაფარიძისთვის და ამით გათავებულა საქმე. „ანგარიში“ გვეუბნება, რომ ბ. ჯაფარიძის „მძიმე ავათმყოფობის გამო“ ეს საქმე შეფერხდაო (გვ. 40). ეს სიმართლის გადაფუჩეჩებაა: ბ ჯაფარიძე ჭიათურის საავადმყოფოს ექიმია, და ნუ თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ავათ იყო? თუ ეს ასეა, მის ადგილას სხვა ვინმე უნდა მოეწვიათ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, ავათმყოფები ჯაფარიძის მორჩენას არ მოუცდიდენ. მაგრამ ისე კარგი მას დაემართოს, როგორც კარგმა საბჭომ კარგ კაცს მიანდო ასეთი სასარგებლო საქმის წინგაძღოლა. სიმართლის ასეთ გადაფუჩეჩებაში ჩვენ საბჭოს მეტათ საგრძნობელი ლოღიკური ნახტომებიც მოსდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, მუშებისთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისთვის საბჭოს სრულებით არ უფიქრია და ასე წარმოიდგინეთ ამის გამო მას ერთი თავისებური გაბერილი შუამდგომლობაც კი არ დაუწერია! ეს ისე მცირე საქმეა, რომ ამისთვის აბა იგი რათ შეიწუხებდა თავს. მაგრამ ანგარიშში თავის გასამართლებლათ იგი მაინც წერს: „სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ვერ იქნა გამართული იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომლებშიაც იმყოფება ჭიათურის რაიონის მადნებში მომუშავე ხალხი, რომელიც კარგიც რომ გახსნილიყო ასეთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, იგი მაინც ვერ ისარგებლებდა ამითი. მადნებში მომუშავე ხალხი გაფანტულია ჭიათურიდან 3—4 ვერსის მანძილზე და ვერ ისარგებლებს ჭიათურაში ბიბილიოთეკა-სამკითხველოთი, როგორც სიშორის, ისე წერა-კითხვის უცოდინარობის გამოვო“ (იხ. ანგ.“ გვ. 40), გვასწავლის ნაქები საბჭო! მოდი და ნუ დაუჯერებთ მას ასეთ უტყუარ სიმართლეს! სიშორე და უვიცობა—ამის შემდეგ რაღა საჭიროა ან ბიბლიოთეკა, ან სამკითხველო, და საბჭოც სწორეთ ასე მოქცეულა. მაგრამ ანგარიშის შედგენის დროს მას ალბათ შერცხვენია თავისი უმოქმედობის და უზრუნველობის, და იქავე წერს კრების დასამშვიდებლათ: მართალია ჩვენ ამაზე არ ვიზრუნეთ დღემდის, მაგრამ თუ ახლა აგვირჩევთ, ჩვენ თქვენ ხარჯზე მზათ ვართ გავაკეთოთ ჭიათურაში სახალხო სახლი—სასახლე (НАРОДНЫЙ ДОМЪ—ДВОРЕЦЪ), [illegible] ყველა განმანათლებელ დაწესებულებათ (გვ. 41) [illegible] რიცხვში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოსაც! როგორ მოხდა, რომ, თუ ამ ორი წლინახევრის განმავლობაში ჭიათურაა ხელმისაწვდენი არ იყო მუშებისათვის, სახალხო სახლის გაკეთების შემდეგ იგივე ჭიათურა როგორ შეიქნება ხელმისაწვდენი, ეს ჩვენთვის გაუგებარია, ამას მხოლოთ „ნაქები“ საბჭოს ლოღიკა თუ დასძლევს, თორემ სხვა ვერავინ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს თვალის ასახვევი იარაღია, და მეტი არაფერი.

გარეშე მეთვალყურე.

(შემდეგი იქნება).

*) ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭომ შეავიწროვა კრების დადგენილება იქ ნათქვამი იყო საზოგადოთ ლექციები და კითხვები.

## სახალხო თეატრი.

„პარიჟელი ბიჭი“ კომ. 2 მოქ „სცენები მიროვოი სუდიასთან, ვოდ. 1 მ. დ. კეზელის, წარმოდგენილნი 12 იანვარს, ტფილისის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში.

ვიდრე დასახელებულ წარმოდგენის გარჩევას შევუდგებოდე, ვთხოვ მკითხველს მომისმინოს შემდეგი:

ჩვენმა შენიშვნამ სახალხო თეატრში მოთამაშეთა შესახებ, რომელიც „კვალის“ მესამე ნომერში დაისტამბა, როგორც მოთამაშეთა ისე სახალხო თეატრის ზოგიერთა მოყვარეთა შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მოლოდინისამებრ ზოგმა კრიტიკის თვალით შეხედა ამ შენიშვნას და ზოგმა... კრეჭის თვალით... რამდენიმე დაუმსახურებელი საყვედურიც კი მოვისმინეთ, მაგრამ ვისაც წანაკითხის აზრი არ ესმის და გულწრფელობა მტრობა ჰგონია, იმას ყველაფერი მიეტევება... სამწუხაროა მხოლოდ, რომ აქამდის გულდასმით ვერ მოგვისმენია ხოლმე ჩვენ შესახებ წარმოთქმული მსჯავრი და ყველგან რაღაც კლიმანჭურებს ვეძებთ!.. ვწუხვარ მეც, რომ ზოგიერთ თვითმოყვარე მოთამაშეს ჰანგი ვერ ავართყი და მისებურათ ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი. თუ გარემოებამ ხელი შემიწყო, ვეცდები შემდეგში მაინც გავუწიო ანგარიში ყოველივე წვრილმანს... ამას სხვათა შორის მოგახსენებთ, ამ ჟამათ კი უმთავრესი ის არის, რომ გამოვარკვიოთ: საჭიროა თუ არა იწერებოდეს ხოლმე რეცენზიები სახალხო თეატრის შესახებ და, საზოგადოთ, ავნებს თუ არგებს თვით საქმეს—წარმოდგენებს—მოთამაშეთა დაფასება და ნათამაშევის მსჯავრის დადება?.. პირადათ მე იმ აზრისა გახლავართ, რომ თვით ამ საკითხს ადგილიც კი არ უნდა ჰქონდეს ჩვენში, ვინაიდგან ავისა და კარგის მხილებაშია—უმთავრესი ძარღვი წინმსვლელობისა, განვითარებისა. მაგრამ რადგანაც არამც თუ ზოგიერთი საპატიო მოღვაწე სახალხო თეატრისა, არამედ ერთ-ერთის ყოველდღიურის გზეთის რედაქციაც კი იმ აზრისაა, რომ რეცენზიების მეოხებით სცენის მოყვარენი დაფრთხებიან, თავს მიანებებენ თამაშობასა და მით წარმოდგენებიც დაიშლებაო *), იძულებული შევიქენ ლაპარაკი ჩამომეგდო ამ საანბანო ჭეშმარიტების შესახებ...

მართალია ზოგი ჩვენგანი ისეთი გულზვიადი, ამაყი და შეუსმენელი ვართ, რომ სუყოველთვის თუ წითელი კვერცხი არ გვიგორეს—იქნება მუშტზედაც კი დავიხედოთ, მაგრამ ასეთების გამო არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს საქმის მოწესრიგებაზე არ ვიფიქროთ. ისეთი დიდი მოთხოვნილება აქვს ჩვენში სახალხო თეატრს, იმდენი მსმენელი და მაყურებელი ყავს ხალხურ წარმოდგენებს, იმდენი მოყვარე

*) სწორეთ ამ მიზეზის გამო რეცენზიების წერა საკვირაო გაზეთში მიხდება, რაც ცოტა დაგვიანებულსავით გამოდის... ი. ც.

და მოღვაწე უვის ამ ფრიად საკეთილო და ხალხის გამომაფხიზლებელ დაწესებულებას, რომ მისი „დაშლა და განადგურება“ ყოვლად შეუძლებელია. თვით დრო, თვით ხალხი თხოულობს გონების საზრდოს და თითოეულის კაცის „კაპრიზი“, თითოელის ამ ჟამათ სცენაზე მოღვაწის „თუნდა გაქცევაც“ ძირს ვერ დასცემს ხალხის სურვილს. თუ ერთი წავა, მის ადგილის დაჭერას სამი და ოთხი (ვაჟების შესახებ ვამბობ) მოინდომებს, მე ბედნიერება მქონდა პირადათ დავრწმუნებულ იყავ ჩემის სიტყვების სიმართლეში. როდესაც წრევანდელი სეზონი იწყობოდა ჩვენმა მოწოდებამ სცენის მოყვარეთა მიმართ ოცი იმ ორმოცი კაცი—გულწრფელათ მიაგება ხალხურ სცენას. ხოლო თუ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ მათის სურვილით და ბევრი საიმედო მოთამაშე დღეს სახალხო სცენას მოშორებულია—ეს ჩვენი (სექციის) უგერგილობის ბრალია. მაგრამ, ნუ თუ მათ შესძულდათ სახალხო სცენა, ნუ თუ მათ აღარა სწყურიან უანგაროთ ემსახურონ ხალხის დაწინაურების საქმეს? ყოველთვის და ყოველ ჟამს! მაშ რიღასი გვეშინიან რიღასთვისა ფიქრობთ, რომ მოთამაშის გულწრფელი დაფასება სცენის მოყვარეთა რიცხვს შეამცირებსო?!.. პირ იქით, იმ თავითვე რომ უფრო ყურადღებით მოვკიდებოდით მოთამაშეთ, ბევრი მათგანისათვის აგვეხსნა და შეგვესმენინებინა რა დიდი მოწონება აქვს, რა დიდი ღვაწლია ასსა და ორასს მსმენელს გზის მაჩვენებლათ გაუხდეს კაცი, აქამდის უკვე შეჩვეული ვიქნებოდით მსჯავრის მოსმენას, უფრო კარგათ იქნებოდა მოწყობილი სახალხო თეატრის საქმე... მაგრამ კმარა ჯერჯერობით აქ ვსვამ წერტილს. სიტყვას აღარ ვაგრძელებ ამის შესახებ, რადგანაც ვინც დაახლოვებულია სახალხო თეატრთან, ვისაც გულით უყვარს იგი, ვინც მარტო ვიწრო თავმოყვარეობას არ იკმაყოფილებს, იგი არასოდეს არ გაექცევა ხალხის მსჯავრსა!.. მე ასრე მრწამს და ამ რწმენის მიხედვით მარადის გაბედვით გამოვსთქვამ ჩემს აზრს, არა ვისიმეს დასამცირებლათ, არამედ საქმის საკეთილ-დღეოთ...

ტყვილათ მისაყვედურეს ზოგიერთებმა, ვითომც მე სასტიკათ ვეპყრობოდე უანგაროთ (უჯამაგიროთ) სახალხო სცენაზე მოღვაწეთ. ძლიერ კარგათ მესმის, რომ იგინი თამაშობაში ფულს არ იღებენ, სცენაზე თამაშობა მათი მარჩენალი არ არის, მაგრამ ისიც კარგათ მესმის, რომ თითოეული მოთამაშე—გზის მაჩვენებელია ასი და ორასი მსმენელისა და თუ სინიდისიერათ, შეგნებით მოეკიდება ნაკისრს საქმეს, იგი დაჯილდოვებულ იქნება მათის თანაგრძნობითა და სიყვარულით, რაც ყოველგვარ ნივთიერ დახმარებაზე საპატიო და უკვდავია! განა ეს შემეცნება არაა უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენის დიდი სცენის ჯამაგირიანი არტისტები ეხმარებიან სახალხო თეატრს?..

ახლა კი შევუდგები ჩვენ საქმეს.

12 იანვრის წარმოდგენა იმითი იყო თვალსაჩინო, რომ ამ სახალხო წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ ჩვენის დიდის სცენის საპატიო მსახიობნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და ელ. ჩერქეზიშვილისა, რომლებიც, სამწუხაროთ, ეს რამდენიმე ხანია, ჩვენ სცენაზე აღარა სჩანან, ამ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა თამაშობის დასაფასებლათ საჭიროა გავიხსენოთ მოკლეთ შინაარსი პიესისა: („პარიჟელი ბიჭი“). მდიდარის და სახელ-განთქმულის გენერალ მორენის (ბ. ჯაფარიძე) შვილი ამედეი—(ბ. რომანიშვილი) შეეკედლება ერთ ღარიბ ოჯახს. ამ ოჯახში არის მოხუცებული დედაკაცი (ქ. ჩერქეზიშვილისა) და მისი ორი შვილი: ჟოზეფი—(ქ. საფარ.-აბაშიძისა) და ელიზა (ქ. თ. ჩიჯავაძე). ამედეი ღარიბ მხატვრათ გააცნობს ამ ოჯახს თავსა, დაუახლოვდება ელიზას, შეუყვარდება იგი და იმასაც თავს შეაყვარებს. მათი დამოკიდებულება ჯერ არავინ იცის. არავინ იცის აგრეთვე ვინ არის ამედეიც. ცელქსა და მალხაზ ჟოზეფს, რომელსაც ყოველთვის აბეზღებს დედასთან მათი მოხუცებული მეზობელი, მშიშარა და ყბედი ბიზო (ბ. გოცირიძე), ამ[illegible] კი გონია. დაბოლოს გამოჩნდება ვინც არის [illegible] გებენ იმასაც, რომ ელიზა უკვე მოტყუებული ყოფილა. თავისს დის პატიოსნების აღსადგენათ, ბრაზმორეული ჟოზეფი წარსდგება დიდებულის გენერლის წინაშე და ყველაფერს შეატყობინებს. გენერალი მორენი ჯავრობს, შვილს სახლიდგან ჲაგდებას დაუპირებს და უსაყვედურებს თავისს დას ბარონესას (ქ. რომანიშვილისა) რომ შკილი შენ გამითამამეო. ბარონესას ამედეის „ცელქობა“ სასაცილოთაც არა ყოფნის. ხოლო როდესაც შეიტყობს, რომ ჟოზეფი თხოულობს, ამედეიმ ელიზა შეირთოსო, ფულით აპირობს ღარიბის ოჯახის დაკმაყოფილებას. ჟოზეფი ზიზღით უარყოფს მის წინადადებას და გარდაწყვეტით თხოულობს ამედეიმ ელიზა უნდა შეირთოსო. გენერალი მცირე ბრძოლისშემდეგ თავისს თავთან თანხმდება და ბარონესას სამწუხაროთ ელიზას ამედეის რთავს, იმ ამედეის რომელიც უკვე ჯარში ჩაეწერა და უნდა სამშობლოს და ელიზას ერთგულობით გამოისყიდოს წარსული ფუქსავატი ცხოვრება... პიესის მიხედვით მორენი ყოვლად პატიოსანი, მედიდური, ზრდილობიანი და გულჩვილია. მისი და ბარონესსა ნამდვილი არისტოკრატკაა. სულით და გულით ფუქსავატი, დაბალი ხალხი ადამიანები არა გონია და პატიოსნებას ფულით უპირებს ყიდვას. ჟოზეფი—მხიარული, გულუბრყვილო მოუსვენარი ბიჭია, ასოთ ამწყობი, პატიოსანი, მკვირცხლი, ყველასათვის თავდადებული და მოძულე ყოველივე ბოროტებისა. ბიზო ცრუ ყბედი და მხდალი მოხუცია, მაგრამ გულ-კეთილი კი. ამედეი—ქარაფშუტობამ მდიდრულმა ცხოვრებამ ცხოვრების კვალში ჩაიგდო, გაარაინდა...

ასეთი ხასიათისანი არიან პიესის გმირნი.

ბ. ჯაფარიძე (მორენი) გრიმით, მიხვრა-მოხვრით, გარეგანის გამომეტყველებით ნამდვილი დიდებული იყო, მხოლოდ დრო გამოშვებით კილოს ვერ აყოლებდა. საზოგადოთ რიგიანათ ჩაატარა თავისი როლი. კარგი იყო იმ დროს, როდესაც შვილს სახლიდგან გაგდება აღუთქვა—სუსტი—მაშინ, როდესაც თავისს თავს ებრძოდა როცა არისტოკრატიული ამაყობა და პატიოსანი კაცის მოვალეობა ერთმანეთს შეეჭიდენ გენერლის გულში...

ქ. რომანიშვილი (ბარონესსა) ჩინებული იყო. სალაპარაკო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ისე ამაყათ, ისე მედიდურათ ეჭირა თავი, როგორც ნამდვილ ფუქსავატ არისტოკრატიას. მიმოხვრა და დამცინავი შეხედვა—უხდებოდა.

ბ. გოცირიძის (ბიზო) ზომიერი და მოხდენილი თამაში—ჩინებული იყო. თითოეული მისი სიტყვა, თითოეული ფეხის გადადგმაც კი გულიან ხარხარს იწვევდა.—გოცირიძეს კარგათ შეუგნია მშიშარა და ცრუ ბიზოს როლი. მეტის მოთხოვნა შეუძლებელია იქმნება.

პიესის „მხრებით მატარებელი“ თუ კი შეიძლება ასე ითქვას, ჟოზეფია და ქ-მა საფაროვ-აბაშიძისამაც შეჰბოჭა მსმენელთა ყურადღება. მისმა ცოცხალმა მიხვრა-მოხვრამ, ცქრიალმა, შესანიშნავმა გამოთქმამ, მოძრავმა სახემ და ბუნებრივმა თამაშმა ხელახლა დაგვიყენა თვალ-წინ ის სიამაყე ჩვენის სცენისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ, სმენას გვიტკბობდა, გვახალისებდა. შეუდარებელი პარიჟელი ბიჭი იქმნებოდა ქ. აბაშიძისა, რომ დროსა და ავათმყოფობას თავისი დაღი არ დაეჩნია მისთვის!

არა უშავდა რა ბ. რომანიშვილს. ამედეის როლში თუმცა კი გალაღებულის და გაფუქსავატებულ არისტოკრატის გადემოკრატება, გაადამიანება, მეტ სიცოცხლეს მეტ

მღელვარებას და გამომეტყველებას თხოულობს მოთამაშისაგან.

ქ. ჩიჯავაძე—სცენისთვის არ არის დაბადებული, და მგონია არც პრეტენზია აქვს გაარტისტებისთვის და ამიტომ არაფერს მოვთხოვ, რომ ვსთქვა ელიზამ (ქ. ჩიჯავაძემ) ვერ დაგვიხატა თავისი მღელვარება, როდესაც იმან გაიგო, რომ ამედეიმ მას თავი დაანება, ან ვერ გამოსთქვა თავისი მწუხარება, თავისი ბედშავობა გენერლის წინაშე-მეთქი—ეს შეუძლებელის მოთხოვნა იქნება, ვინაიდგან, როგორც მოგახსენეთ, ქ. ჩიჯავაძეს სასცენო ნიჭი სრულებით არა აქვს. იმისიც მადლობელნი ვართ, რომ ამ „უქალობის" დროს (სამწუხაროთ სცენის მოყვარული ქალები ნაკლებათ ჰყავს სახალხო თეატრს) თვისს დახმარებას არ აკლებს და სცდილობს კიდეც ანსამბლი დაიცვას. რამდენათაც „პარიჟელ ბიჭში" ქ. საფაროვ-აბაშიძისა იზიდავდა მსმენელთა ყურადღებას, იმდენათ ქ. ჩერქეზიშვილისა ჩინებული იყო ელენე მახროვნას როლში (სც. მარ. ს.). ვისაც არ უნახავს მაჭატა და ენა გრძელი დედაკაცი, რომელიც არავის არ ერიდება და ყურებს უყრუებს თავისის ლაქლაქით, რომელიც თავისის ქმრისა და შვილების ღირსებას ყველაზე მაღლა აყენებს და თავისი პირადობის მეტს სხვას ვერაფერს ხედავს (რაც ძრიელ ბევრია ჩვენში), ის ნათლათ წარმოიდგენდა ამ გვარ დედაკაცს, ჩერქეზიშვილისა რომ ენახა სცენაზე.

დიდს თეატრში მოსიარულე ქართველმა საზოგადოებამ იცის, რომ მაჭატა დედაკაცების როლი ამპლუაა ქ. ჩერქეზიშვილისა, და პატარა თეატრის ხალხმაც ნათლათ დაინახა ქ. ჩერქეზიშვილის მეოხებით რა სასაცილო და თან რა თავის მომბეზრებელია—ელენე მახაროვნასთანა ენა ჭარტალა და გაიძვერა—უვიცი დედაკაცები. ელენემ თვისი თავი ხომ გააცნო საზოგადოებას, ისე მკაფიოთ, ისე მოხდენილათა და გარკვევით ილაპრაკა თავისს ქმრის შესახებაც, რომ, მე მგონი ცოცხლათ წარმოუდგათ მაყურებელთ, ის „ჩინოვნიკიც", რომელსაც „ქათამი ქათამზე და ბატი ბატზე მოსდიოდა ძღვნათ მღვდელ-დიაკვნებისაგან". ჩინებული აბლაკატი იყო ბ. გოცირიძე. მარტო მისი გრიმი ამტკიცებდა ამ აბლაკატის ცრუპენტელობას და ზნეობრივ მხარეს...

ცრუ მოწმეს (ბ. გელიკურაშვილსაც) თამამათ ეჭირა თავი და გვარიანათ ასრულებდა თავისს როლს:

საზოგადოთ პიესების წარმოდგენას მეტი გულმოდგინეობა ეტყობოდა, თუმცა სცენის მხრივ ჰქონდა რამდენიმე ნაკლულევანება. მოთამაშენი გვიან შემოდიოდენ სცენაზე, (უკანასკნელი სურათი მეორე მოქმედებისა—ამედეიმ ძლიერ დაიგვიანა და მომრიგბელ მოსამართლეს კამერაც ვერ იყო კარგათ მოწყობილი. კამერაში ბევრი გარეშე ხალხი რომ ყოფილიყო, უკეთესი შთაბეჭდილება ექნებოდა საზოგადოებაზე..

როგორც ყოველთვის, ახლაც თეატრი ხალხით სავსე იყო.

ი. ც—ძე.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ ჟურნალ «კვალში» შემდეგ სტრიქონებს: 30 წარსულ ქრისტეშობისთვეს ავჭალის სახალხო თეატრში წარმოადგინეს პიესა „პარიჟელი ბიჭი". „ივერიის" № 3-ში ბ. ა—ნა ბრძანებს ვითომდა მე იმ პიესაში ვთამაშობდი ბებია ქალის როლს. მე სრულებით არ მიმიღია იმ პიესაში მონაწილეობა და ცხადია ვერც ვერავინ დამინახავდა იმ დამეს სცენაზე. არ ვიცი საიდან ამოიღო ასეთი ცნობები ბ-ნ ა—ნამ მით რომ ბებია ქალის როლის შემსრულებლად გამოუცხადება ჩემი გვარი. ნუ [illegible] ბ-ნ ა—ნას არ შეეძლო განცხადების საშუალებით მაინც გაეგო, ვინ იყო ნამდვილი მოთამაშე? ცხადია ის უყურადღებობა [illegible] გაუდებულობას.

ანიკო ჯავახიშვილი.

---

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადებანი.

**გამოვიდა და იყიდება**

ყველგან „ქართვ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

I. ჰოლბერი.

## ბუნების ცოდნა.

26 სურათით.

თარგმანი პ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

## ასპინძის ომი.

ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით. ფასი 7 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: Тифлисъ. Общество распростр. грамотности среди грузинъ.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНІЯ)

**На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ**

## Научное Обозрѣніе.

Подъ ред. М. Филиппова, при ближайшемъ участіи проф. С. Глазенапа, проф. Л. Петражицкаго и проф. В. М. Шимкевича.

„Научное Обозрѣніе" имѣетъ цѣлью знакомить читателей въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ тоже время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣнія", при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произвести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ научныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вниманіе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ органахъ преимущественно иностранныхъ, причемъ имѣются въ виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить за иностранною печатью.—Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ будутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли на себя: отдѣла „научныхъ новостей" проф. С. П. Глазенапъ, отдѣла соціально-юридическаго проф. Л. Петражицкій и отдѣла біологическихъ наукъ—проф. В. М. Шимкевичъ.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ" (для Самообразованія) принимаютъ участіе учредители русской парижской школы Общественныхъ наукъ: проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Ковалевскій, проф. М. Тамамшевъ, Е. де-Роберти, члены одесскаго лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Спб. 7 р. Съ доставкой и пересылкою по всей Россіи 8 р. Разсрочка по два рубля за четверть года. За границей 10 р. Адресъ Главной Конторы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა მ. თ. შარაძისა.